

# პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება 2022

## სს პროკრედიტ ბანკი საქართველო

### შინაარსი

1	პილარ 3-ის წლიური ანგარიშის შესახებ .....	4
---	---	---

2	შესავალი .....	4
3	კონსოლიდაციის ფარგლები .....	6
4	ძირითადი მაჩვენებლები .....	7
5	საბალანსო უწყისი .....	10
6	მოგება-ზარალის შესახებ ანგარიში .....	11
7	კორპორაციული მართვა .....	12
7.1	აქციონერთა სტრუქტურა .....	12
7.2	პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭო.....	13
7.3	პროკრედიტ ბანკის სამეთვალყურეო საბჭო .....	15
7.4	პროკრედიტ ბანკის დირექტორთა საბჭო .....	17
7.5	რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესი .....	19
8	რისკების მართვა.....	20
8.1	რისკების მართვის სტრატეგია.....	20
8.2	რისკების მართვის და რისკების ანგარიშგების სისტემა.....	23
8.3	რისკის პროფილის შეფასება .....	27
9	საკრედიტო რისკი .....	28
9.1	კლიენტის საკრედიტო რისკი .....	29
9.2	კონტრაგენტის რისკი, ემიტენტის რისკის ჩათვლით.....	32
9.3	დერივატიული პოზიციებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი.....	34
9.4	საკრედიტო რისკის სტანდარტიზებულ მიდგომაში გარე რეიტინგებისა და საკრედიტო რისკის მიტიგაციის მეთოდების გამოყენება.....	35
10	საბაზრო რისკები .....	35
10.1	სავალუტო რისკი.....	35
10.2	საპროცენტო განაკვეთის რისკი საბანკო წიგნში.....	36
11	ლიკვიდურობის რისკები.....	38
11.1	ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკი .....	38
11.2	დაჯავშნილი და თავისუფალი აქტივები.....	40
12	საოპერაციო რისკი.....	41

13	ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და კანონით დასჯადი სხვა ქმედებების შედეგად წარმოქმნილი რისკები.....	43
14	კაპიტალის ადეკვატურობა.....	44
14.1	კაპიტალის მართვა.....	44
14.2	პილარ 1-ისა და კომბინირებული ბუფერის მოთხოვნები.....	45
14.3	პილარ 2-ის მოთხოვნები.....	45
14.4	საზედამხედველო კაპიტალი.....	47
14.5	რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები.....	48
14.6	საკრედიტო რისკის მიტიგაციის მექანიზმები.....	53
14.7	ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებულ ანგარიშგებას შორის კავშირი.....	57
14.8	შიდა კაპიტალის ადეკვატურობა.....	58
15	ანაზღაურების პოლიტიკა.....	60
15.1	შრომის ანაზღაურების პრინციპები.....	60
15.2	შრომის ანაზღაურების სტრუქტურა.....	61
15.3	შრომის ანაზღაურების სქემის გავრცელება და დამტკიცება.....	62
15.4	2022 წლის ანაზღაურება.....	62
16	ESG ანგარიშგება და გამჟღავნება.....	63

## 1 პილარ 3-ის წლიური ანგარიშის შესახებ

პილარ 3-ის ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის ივნისის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებს. მოცემული პილარ 3-ის ანგარიშგება და მასში ასახული ინფორმაციის უტყუარობა და სიზუსტე დადასტურებულია რისკების კომიტეტის მიერ.

## 2 შესავალი

პროკრედიტ ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსება. ბიზნეს მოდელი ორიენტირებულია იმ ძირითად საქმიანობაზე, რომელიც კლასიკურ საბანკო მომსახურებას მოიცავს.

ჩვენი კორპორაციული სტრატეგიისა და საქმიანობის მიზანია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით განვითარებაში და, ამავდროულად, მოცემული საქმიანობით უზრუნველყოს ჩვენი აქციონერებისთვის შესაბამისი, გონივრული მოგების მიღება. ამ თვალსაზრისით, საქართველოში კარგი შესაძლებლობებია. პროკრედიტ ბანკის ბიზნესის სტრატეგია ეფუძნება კლიენტებთან და თანამშრომლებთან გრძელვადიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და რისკების სათანადო მართვას.

პროკრედიტ ბანკის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის "ჰაუსბანკის" სახით წამყვანი როლის შესრულება. ჩვენ ვთავაზობთ საბანკო მომსახურების სრულ სპექტრს დაფინანსების, ანგარიშების, გადარიცხვებისა და დეპოზიტების მომსახურების თვალსაზრისით. მცირე და საშუალო ბიზნესის გრძელვადიანი მხარდაჭერით, ჩვენ წვლილი შეგვაქვს სამუშაო ადგილების შექმნაში, ინოვაციური შესაძლებლობების გაზრდაში და ეკოლოგიურ და სოციალურ პროექტებში ინვესტიციების წახალისებაში. ჩვენ ორიენტირებულეები ვართ ისეთ ინოვაციურ კომპანიებზე, სადაც დინამიური ზრდა და სტაბილური, ფორმალიზებული სტრუქტურა არსებობს. გარდა ამისა, ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობაზე.

მცირე და საშუალო საწარმოების მომსახურების გარდა, პროკრედიტ ბანკმა ფიზიკური პირებისთვის დანერგა 'Direct Banking'-ის სტრატეგია, რაც გულისხმობს სრულყოფილი საბანკო სერვისის მიღებას ელექტრონული არხების გამოყენებით. მარტივი მომსახურება, ერთიანი ტარიფი, ინტერნეტ ბანკინგით მუდმივი წვდომა ნებისმიერ საბანკო სერვისზე და მრავალფუნქციური თვითმომსახურების „სივრცე 24/7“-ით სარგებლობა - ეს ის ძირითადი უპირატესობებია, რომლებიც 'Direct Banking'-ის ფარგლებში მომხმარებელს აქვს. დისტანციური არხების მრავალფეროვნებით და მათში მნიშვნელოვანი ინვესტიციების

განხორციელებით, დღეისათვის საბანკო ოპერაციების 99%-ის განხორციელება კლიენტისათვის უკვე დამოუკიდებლად ხელმისაწვდომია, სასურველ დროს, სასურველი ადგილიდან. დაინერგა ვიდეო და ავტო იდენტიფიკაციის მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან იდენტიფიკაციის პროცესის გავლა ანგარიშის გასახსნელად და საბანკო სერვისები მისაღებად. ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, თანამედროვე და მარტივი დიზაინით, კომფორტულია მომხმარებლისთვის. ინტერნეტ ბანკინგის სერვისით კი მომხმარებელს მუდმივი წვდომა აქვს სასურველ საბანკო მომსახურებაზე.

ფიზიკური პირებისთვის ჩვენი მხარდაჭერის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ანგარიშების მართვა და დანაზოგების მომსახურება. ჩვენ, ასევე, ვუზრუნველყოფთ დაფინანსებას უძრავი ქონების შესაძენად და სხვა შერჩეული ინვესტიციების განსახორციელებლად. სამომხმარებლო სესხების გაცემა ბანკის მიერ ხორციელდება უაღრესად შეზღუდული მოცულობით.

რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, 2022 წელს მაქსიმალური ყურადღება იყო გამახვილებული სტაბილურობასა და რისკების პროაქტიულ მართვაზე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბოლო წლებში განხორციელებულმა სტრატეგიულმა ინიციატივებმა, რისკების პროაქტიულმა მართვამ და თანამშრომლების მაღალმა კვალიფიკაციამ კარგი და სტაბილური საფუძველი შექმნა წინა წლების გამოწვევებთან გასამკლავებლად.

პროკრედიტ ბანკის ყველა კლიენტი სარგებლობს სერვისის ინოვაციური არხებით, რომლებიც ძირითადად ერთიანდება მოსახერხებელ ინტერნეტ ბანკინგში. გარდა ამისა, ჩვენი სივრცეები აღჭურვილია 24-საათიანი თვითმომსახურების ზონებით, სადაც შესაძლებელია გადახდის ოპერაციების მთელი პაკეტის შესრულება. ამ ორი არხის საშუალებით თითქმის ყველა ტრანზაქცია სრულად ავტომატიზირებულია. ჩვენს კლიენტებს შეუძლიათ მიიღონ პერსონალიზებული საბანკო კონსულტაციები ჩვენს ფილიალებში და ჩვენი საკონტაქტო ცენტრის მეშვეობით.

პროკრედიტ ბანკი პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის წევრია, რომელსაც ზედამხედველობას უწევს გერმანიის ფედერალური ფინანსური ზედამხედველობის ორგანო (Bundesanstalt für Finanzdienstleistungsaufsicht, ან BaFin) და გერმანიის ცენტრალური ბანკი (Deutsche Bundesbank). გერმანიის საბანკო აქტის (Kreditwesengesetz ან KWG) 25ა მუხლის თანახმად, პროკრედიტ ჰოლდინგი პასუხისმგებელია პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის სტრატეგიულ მართვაზე, კაპიტალის ადეკვატურობაზე, ანგარიშგებაზე, რისკების მართვასა და ბიზნესის სათანადოდ ორგანიზებაზე. პროკრედიტ ჰოლდინგის აქციები ივაჭრება ფრანკფურტის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში.

წინამდებარე პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება პასუხობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესში" გათვალისწინებულ გამჟღავნების მოთხოვნებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის მოთხოვნების შესახებ (Capital Requirements Regulation, CRR) - (EU) No. 575/2013 დებულებისა და ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ ბაზელის კომიტეტის მოთხოვნებს. იურიდიულად დაცული ან კონფიდენციალური ინფორმაცია არ ექვემდებარება გამჟღავნებას.

ინფორმაციის გამჟღავნება ეფუძნება სს პროკრედიტ ბანკისა და შპს პროკრედიტ ფროფერთის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, 2022 წლის ანგარიშის მიხედვით. წინამდებარე პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების გარდა, პროკრედიტ ბანკის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია პროკრედიტ ბანკის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და დამოუკიდებელი აუდიტორების რეპორტში, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე.

პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება დამტკიცებულია პროკრედიტ ბანკის რისკების კომიტეტის მიერ.

ანგარიშგებაში წარმოდგენილია შეჯამებული ციფრები და პროცენტული გამოთვლები, რაც შეიძლება მცირე ცდომილებებს შეიცავდეს ციფრების დამრგვალების გამო.

### 3 კონსოლიდაციის ფარგლები

წინამდებარე პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება მომზადებულია პროკრედიტ ჯგუფში შემავალი კომპანიების გათვალისწინებით, რომელიც კონსოლიდირებულია ფასს-ის მიხედვით: ჯგუფში შემავალ კომპანიებში იგულისხმება შპს პროკრედიტ ფროფერთის - კომპანია, რომელიც უძრავი ქონების მართვას ახორციელებს და რომელზეც პროკრედიტ ბანკს აქვს კონტროლი. ამავდროულად, მარეგულირებლის მიზნებისთვის ანგარიშგებები იქმნება მხოლოდ ბანკის ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით.

კონსოლიდაცია საწარმოების მიხედვით

კომპანიის დასახელება	ადრინგვო კონსოლიდაციის მეთოდი	საზედამხედველო კონსოლიდაციის მეთოდი				აღწერა
		სრული კონსოლიდაცია	პროპორციული კონსოლიდაცია	არც კონსოლიდირებული და არც დაქვითული	დაქვითული	
1 პროკრედიტ ფროფერთის	სრულად კონსოლიდირებული				x	საქართველო, თბილისი; უძრავი ქონების მენეჯმენტი; აქტივი - 12 151 507 ლ; კაპიტალი - 11 832 857 ლ

ცხრილი 1

## 4 ძირითადი მაჩვენებლები

### ძირითადი მაჩვენებლები

	4Q-2022	3Q-2022	2Q-2022	1Q-2022	ლარი
<b>საზედანმედეველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)</b>					
<b>ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით</b>					
1 ძირითადი პირველადი კაპიტალი	273,946,292	277,403,842	264,559,174	252,401,255	242,299,598
2 პირველადი კაპიტალი	273,946,292	277,403,842	264,559,174	252,401,255	242,299,598
3 საზედანმედეველო კაპიტალი	303,618,961	309,485,317	299,058,839	291,329,000	281,648,540
4 ძირითადი პირველადი კაპიტალის ეკვივალენტი	133,446,105	134,827,389	142,020,969	149,773,773	146,866,495
5 პირველადი კაპიტალის ეკვივალენტი	166,419,574	168,176,368	177,363,378	187,094,493	183,099,597
6 საზედანმედეველო კაპიტალის ეკვივალენტი	214,902,396	217,242,025	229,826,836	242,483,326	244,933,390
<b>რისკის მიხედვით შეზღუდული მთლიანი რისკის პოზიციები (მოცულობა, ლარი)</b>					
7 რისკის მიხედვით შეზღუდული მთლიანი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	1,398,900,750	1,409,415,488	1,459,312,377	1,533,447,533	1,547,906,059
<b>კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები (%)</b>					
<b>ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით *</b>					
8 ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	19.58%	19.68%	18.13%	16.46%	15.65%
9 პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	19.58%	19.68%	18.13%	16.46%	15.65%
10 საზედანმედეველო კაპიტალის კოეფიციენტი	21.70%	21.96%	20.49%	19.00%	18.20%
11 ძირითადი პირველადი კაპიტალის ეკვივალენტი	9.54%	9.57%	9.73%	9.77%	9.49%
12 პირველადი კაპიტალის ეკვივალენტი	11.90%	11.93%	12.15%	12.20%	11.83%
13 საზედანმედეველო კაპიტალის ეკვივალენტი	15.36%	15.41%	15.75%	15.81%	15.82%
<b>მოგება</b>					
14 მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	6.5%	6.4%	6.2%	6.0%	6.0%
15 მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	2.0%	1.9%	1.9%	1.9%	2.0%
16 საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	3.4%	3.6%	3.3%	3.1%	3.0%
17 წმინდა საპროცენტო მარჯ	4.6%	4.4%	4.3%	4.1%	4.0%
18 უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	2.6%	2.6%	2.5%	2.2%	3.4%
19 უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	17.1%	17.5%	17.2%	15.7%	27.3%
<b>აქტივების ხარისხი</b>					
20 უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	3.5%	3.7%	3.4%	3.4%	3.5%
21 სდრ / მთლიან სესხებთან	3.5%	3.5%	3.4%	3.3%	3.4%
22 უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	69.6%	70.0%	71.0%	71.4%	71.9%
23 უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	64.8%	66.1%	68.4%	71.3%	70.7%
24 მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	-15.0%	-13.5%	-7.2%	-0.8%	-1.8%
<b>ლოკვილობა</b>					
25 ლოკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	30.9%	29.0%	26.0%	24.9%	24.6%
26 უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	78.0%	80.0%	82.0%	83.6%	82.4%
27 მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	39.1%	37.7%	35.4%	34.7%	35.7%
<b>ლოკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი ***</b>					
28 მაღალი ხარისხის ლოკვიდური აქტივები (სულ)	527,029,763	490,568,915	444,120,450	454,681,903	450,818,659
29 ფულის წმინდა ვალიდობა (სულ)	269,008,880	249,192,651	238,229,032	260,955,668	284,625,595
30 ლოკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	195.9%	196.9%	186.4%	174.2%	158.4%
<b>წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი</b>					
31 ხელშესაწყობი სტაბილური დაფინანსება	1,369,558,623	1,369,272,838	1,411,158,007	1,483,414,752	1,478,832,795
32 სტაბილური დაფინანსების საჭიროება	882,299,952	892,619,181	952,381,749	1,015,638,874	1,036,893,131
33 წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (%)	155.23%	153.40%	148.17%	146.06%	142.62%

ცხრილი 2

\* სეზონის მეთოდოლოგიით გაანგარიშებული კოეფიციენტები, რომელიც ბაზელის მეთოდოლოგიისგან განსხვავებით, უფრო მეტადაა კონცენტრირებული ლოკალურ რისკებზე. იხილეთ ცხრილი 3. აღნიშნული წარმოადგენს კომერციული ბანკებისათვის

სავალდებულოდ დასაცავ მოთხოვნას, ხოლო ბაზელის მეთოდოლოგიით დათვლილი მონაცემები წარმოდგენილია საილუსტრაციო მიზნებისათვის.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი				ლარი						
	მუწონავი მონაცემები (დღიური საშუალო)			სებ-ის მეთოდოლოგიით* მუწონილი მონაცემები (დღიური საშუალო)			ბაზელის მეთოდოლოგიით მუწონილი მონაცემები (დღიური საშუალო)			
	ლარი	უცმ. ვალუტა	სულ	ლარი	უცმ. ვალუტა	სულ	ლარი	უცმ. ვალუტა	სულ	
<b>მაფალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები</b>										
1	მაფალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები			164,694,096	337,736,985	502,431,081	161,441,088	221,731,645	383,172,733	
<b>გაღწევა</b>										
2	ფიზიკური პირების დეპოზიტები	45,587,239	393,981,708	439,568,947	8,406,446	74,435,405	82,841,851	2,123,091	16,490,242	
3	არაუზრუნველყოფილი საბითუმო დაფინანსება	223,909,465	710,367,553	934,277,017	53,765,041	96,559,058	150,324,099	58,575,327	82,468,765	
4	უზრუნველყოფილი დაფინანსება	-	-	-	-	-	-	-	-	
5	ბალანსგარეშე ვალდებულებები და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა მონეტარული პოზიცია	81,827,016	61,832,167	143,659,183	15,071,342	15,853,786	30,925,129	5,943,916	5,894,015	
6	სხვა საკონტრაქტო გაღწევა	-	-	-	-	-	-	-	-	
7	სხვა გაღწევა	14,454,829	18,708,354	33,163,183	4,477,225	10,487,283	14,964,508	3,653,802	5,155,897	
8	<b>ფულის მთლიანი გაღწევა</b>	<b>365,778,549</b>	<b>1,184,889,781</b>	<b>1,550,668,330</b>	<b>81,720,054</b>	<b>197,335,532</b>	<b>279,055,586</b>	<b>70,296,136</b>	<b>110,008,919</b>	
<b>შემოღწევა</b>										
9	უკერძო ოპერაციები და ფასიანი ქაღალდების სესხება	-	-	-	-	-	-	-	-	
10	სხვა შემოღწევა კონტრაგენტებიდან	342,957,584	842,134,330	1,185,091,914	8,346,773	12,828,224	21,174,997	73,784,632	118,402,935	
11	ფულის სხვა შემოღწევა	5,499,353	28,545,952	34,045,305	1,669,257	29,224	1,698,482	725,134	725,134	
12	<b>ფულის მთლიანი შემოღწევა</b>	<b>348,456,937</b>	<b>870,680,282</b>	<b>1,219,137,219</b>	<b>10,016,031</b>	<b>12,857,448</b>	<b>22,873,479</b>	<b>74,509,766</b>	<b>118,402,935</b>	
				მთლიანი თანხა სებ-ის მეთოდოლოგიით (ლიმიტების გათვალისწინებით)			მთლიანი თანხა ბაზელის მეთოდოლოგიით (ლიმიტების გათვალისწინებით)			
13	მაფალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები			164,694,096	337,736,985	502,431,081	161,441,088	221,731,645	383,172,733	
14	ფულის წმინდა გაღწევა			71,704,023	184,478,084	256,182,107	17,574,034	27,502,230	45,076,264	
15	ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)			230%	183%	196%	919%	806%	850%	

ცხრილი 3

კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები		ლარი			
		31/12/2022		31/12/2021	
მინიმალური მოთხოვნები		კოეფიციენტი	თანხა (ლარი)	კოეფიციენტი	თანხა (ლარი)
<b>1</b>	<b>პილარ 1-ის მოთხოვნები</b>				
1.1	ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	4.50%	62,950,534	4.50%	69,655,773
1.2	პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	6.00%	83,934,045	6.00%	92,874,364
1.3	საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	8.00%	111,912,060	8.00%	123,832,485
<b>2</b>	<b>კომბინირებული ბუფერი</b>				
2.1	კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი*	2.50%	34,972,519	2.50%	38,697,651
2.2	კონტრეციკლური ბუფერი	0.00%	-	0.00%	-
2.3	სისტემური რისკის ბუფერი	0.00%	-	0.00%	-
<b>3</b>	<b>პილარ 2-ის მოთხოვნა</b>				
3.1	პილარ 2-ის მოთხოვნა ძირითად პირველად კაპიტალზე	2.54%	35,523,053	2.49%	38,513,070
3.2	პილარ 2-ის მოთხოვნა პირველად კაპიტალზე	3.40%	47,513,011	3.33%	51,527,582
3.3	პილარ 2-ის მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალზე	4.86%	68,017,817	5.32%	82,403,254
<b>ჯამური მოთხოვნები</b>		<b>კოეფიციენტი</b>	<b>თანხა (ლარი)</b>		
4	ძირითადი პირველადი კაპიტალი	9.54%	133,446,105	9.49%	146,866,495
5	პირველადი კაპიტალი	11.90%	166,419,574	11.83%	183,099,597
6	საზედამხედველო კაპიტალი	15.36%	214,902,396	15.82%	244,933,390

ცხრილი 4

პირველი პილარის შესაბამისად, ბანკები ვალდებულნი არიან დაიცვან მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები - 4.5%, 6% და 8%, ძირითადი პირველადი, პირველადი და ჯამური საზედამხედველო კაპიტალისთვის. გარდა ამისა, ბანკებს მოეთხოვებათ დამატებითი კომბინირებული ბუფერის დაჭერა ძირითადი პირველადი კაპიტალით.

პილარ 2-ის ფარგლებში კომერციულ ბანკებს უნდა ჰქონდეთ შექმნილი კაპიტალის ადეკვატურობის დამატებითი ბუფერები იმ რისკებისთვის, რომლებიც საკმარისად არ არის დაფარული პილარ 1-ის ფარგლებში.



2022 წელს კაპიტალის მოთხოვნებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა, შესაბამისად მოთხოვნები სტაბილურად შენარჩუნდა.

## 5 საბალანსო უწყისი

საბალანსო უწყისი		ლარი					
N	აქტივები	31/12/2022			31/12/2021		
		ლარი	უბ.გალუბა	სულ	ლარი	უბ.გალუბა	სულ
1	ნაღდი ფული	13,617,686	24,004,854	37,622,540	17,238,354	24,652,530	41,890,884
2	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	66,242,727	199,982,861	266,225,588	25,083,904	215,491,571	240,575,476
3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	35,300,070	103,198,637	144,498,767	15,167,895	118,260,717	133,428,612
4	ფასიანი ქაღალდები ფილინგური ოპერაციებისათვის	0	0	0	0	0	0
5	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	82,467,907	0	82,467,907	41,663,131	0	41,663,131
6.1	მოლიანი სესხები	349,538,202	801,176,185	1,150,714,387	381,058,734	973,100,429	1,354,159,163
6.2	მიწის: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-10,287,236	-29,570,113	-39,857,408	-10,542,044	-34,838,875	-45,380,919
6	<b>წმინდა სესხები</b>	<b>339,250,966</b>	<b>771,606,072</b>	<b>1,110,856,978</b>	<b>370,516,690</b>	<b>938,261,554</b>	<b>1,308,778,244</b>
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	2,802,284	2,484,320	5,286,603	3,857,765	3,384,884	7,242,649
8	დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	161,370	X	161,370	95,752	X	95,752
9	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	6,298,572	47,593	6,346,165	6,298,572	57,816	6,356,388
10	ბიროთადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	47,441,125	X	47,441,125	52,400,649	X	52,400,649
11	სხვა აქტივები	14,660,233	11,193,631	25,853,864	10,369,935	9,034,614	19,404,609
12	<b>მოლიანი აქტივები</b>	<b>608,242,881</b>	<b>1,118,518,028</b>	<b>1,726,760,909</b>	<b>542,692,708</b>	<b>1,309,143,686</b>	<b>1,851,836,394</b>
	<b>ვალდებულებები</b>			0			0
13	ბანკების დეპოზიტები	0	0	0	0	0	0
14	მიზიდვარე დეპოზიტები (ანგარიშები)	107,152,964	154,226,656	261,379,620	107,233,648	182,014,681	289,248,329
15	მოთხოვნამდე დეპოზიტები	96,117,666	317,641,028	413,758,694	64,558,249	306,444,357	371,002,607
16	ვადიანი დეპოზიტები	63,142,281	234,300,112	297,442,394	46,350,614	310,192,245	356,542,853
17	საკუთარი საგლო ფასიანი ქაღალდები	0	0	0	0	0	0
18	ნასესხები სახსრები	26,180,460	394,722,211	420,902,671	44,304,219	477,808,625	522,112,844
19	დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	1,839,666	7,316,968	9,156,633	704,022	7,544,823	8,248,845
20	სხვა ვალდებულებები	23,293,276	4,894,636	28,187,912	18,695,608	10,707,722	29,403,330
21	სუბორდინირებული ვალდებულებები	0	14,422,000	14,422,000	0	25,264,000	25,264,000
22	<b>მოლიანი ვალდებულებები</b>	<b>317,726,313</b>	<b>1,127,523,611</b>	<b>1,445,249,924</b>	<b>281,846,361</b>	<b>1,319,976,453</b>	<b>1,601,822,814</b>
	<b>სააქციო კაპიტალი</b>			0			0
23	ჩვეულებრივი აქციები	112,482,805	X	112,482,805	112,482,805	X	112,482,805
24	პრივილეგირებული აქციები	0	X	0	0	X	0
25	მიწის: გამოსყიდული აქციები	0	X	0	0	X	0
26	სემსიო კაპიტალი	72,117,570	X	72,117,570	72,117,570	X	72,117,570
27	საერთო რეზერვები	0	X	0	0	X	0
28	გაუნაწილებელი მოგება	96,910,610	X	96,910,610	65,413,205	X	65,413,205
29	აქტივების გადაფასების რეზერვები	0	X	0	0	X	0
30	<b>სულ სააქციო კაპიტალი</b>	<b>281,510,985</b>	<b>X</b>	<b>281,510,985</b>	<b>250,013,580</b>	<b>X</b>	<b>250,013,580</b>
31	<b>მოლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი</b>	<b>599,237,297</b>	<b>1,127,523,611</b>	<b>1,726,760,909</b>	<b>531,859,941</b>	<b>1,319,976,453</b>	<b>1,851,836,394</b>

ცხრილი 5

საბალანსო უწყისში წარმოდგენილია შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

- კლიენტებისგან მოზიდული სახსრები შემცირდა 44,2 მლნ ლარით
- მთლიანი სესხები შემცირდა 203,4 მლნ ლარით
- სუბორდინირებული ვალდებულებები შემცირდა 10,8 მლნ ლარით.

რადგანაც მონაცემები ნაჩვენებია ლოკალურ ვალუტაში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 13/12/2021-თან შედარებით 31/12/2022-ში ლოკალური ვალუტა დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარდა 12.8% და 17,7%-ით შესაბამისად, რაც გავლენას ახდენს საბალანსო უწყისში ლარში წარმოდგენილ აბსოლუტურ მაჩვენებლებზე. მოზიდული სახსრებისა და

მთლიანი სესხების ლარში შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ეროვნული ვალუტის გამყარებით.

## 6 მოგება-ზარალის შესახებ ანგარიში

მოგება - ზარალის ანგარიშგება		31/12/2022			31/12/2021			ლარში
N		ლარი			ლარი			
	<b>საპროცენტო შემოსავლები</b>							
1	საპროცენტო შემოსავლები ჩანგნიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით	4,460,295	530,887	4,991,182	2,213,164	-858,812	1,354,352	
2	საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან	50,724,615	51,620,759	102,345,375	44,573,696	59,861,094	104,434,791	
2.1	ჩანკომისიის სესხებიდან	0	0	0	0	0	0	
2.2	ვარკომისიისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან	27,538,912	33,062,834	70,601,746	32,507,708	37,548,858	70,056,566	
2.3	ტრედიტორის სექტორზე გაცემული სესხებიდან	894,780	98,304	993,084	268,320	122,196	290,516	
2.4	სოფლის მეურნეობისა და მეტეფეხის სექტორზე გაცემული სესხებიდან	4,349,014	2,811,936	7,160,950	3,414,727	3,702,772	7,117,499	
2.5	მშენებლის სექტორზე გაცემული სესხებიდან	4,372,932	4,741,030	9,113,962	4,150,480	5,196,135	9,346,615	
2.6	საზოგადოებრივი და გადასახადების სექტორზე გაცემული სესხებიდან	715,137	1,088,116	1,803,253	570,095	1,305,998	1,876,093	
2.7	ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორზე გაცემული სესხებიდან	325,449	1,825,857	2,151,307	631,746	1,831,723	2,463,470	
2.8	ფინანსური სექტორზე გაცემული სესხებიდან	2,240,537	7,002,640	9,243,177	2,584,980	8,552,759	11,137,739	
2.9	დანარჩენი სექტორზე გაცემული სესხებიდან	287,854	990,042	1,277,897	445,641	1,600,652	2,046,292	
3	შემოსავლები უარყოფითი ანგარიშებიდან კლიენტების მიმართ გაცემული სესხების მიხედვით	238,109	465,280	703,390	308,761	815,567	1,124,329	
4	საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან	6,492,861	0	6,492,861	4,519,648	0	4,519,648	
5	სხვა საპროცენტო შემოსავლები	0	0	0	0	0	0	
6	<b>მთლიანი საპროცენტო შემოსავლები</b>	<b>61,915,881</b>	<b>52,616,927</b>	<b>114,532,808</b>	<b>51,615,269</b>	<b>59,817,850</b>	<b>111,433,119</b>	
	<b>საპროცენტო ხარჯები</b>							
7	მოთხოვნის შედეგად გაცემული პროცენტები	5,110,211	3,473,295	8,583,506	3,741,008	3,415,032	7,156,039	
8	ვადიან დეპოზიტებზე გაცემული პროცენტები	5,675,838	6,862,748	12,538,586	4,123,718	9,191,853	13,315,571	
9	ჩანკომისიის სესხებზე გაცემული პროცენტები	0	0	0	29,641	83,968	113,609	
10	საკომისიო ფასიანი ქაღალდებზე გაცემული პროცენტები	0	0	0	0	0	0	
11	ნაქსებ სასსრზე გაცემული პროცენტები	2,914,980	10,456,103	13,371,083	2,845,653	13,389,670	16,235,324	
12	სხვა საპროცენტო ხარჯები	0	0	0	0	0	0	
13	<b>მთლიანი საპროცენტო ხარჯები</b>	<b>13,701,029</b>	<b>20,792,146</b>	<b>34,493,175</b>	<b>10,740,020</b>	<b>26,080,523</b>	<b>36,820,543</b>	
14	<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>48,214,853</b>	<b>31,824,780</b>	<b>80,039,633</b>	<b>40,875,250</b>	<b>33,737,327</b>	<b>74,612,576</b>	
	<b>არასაპროცენტო შემოსავლები</b>							
15	წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით	-4,656,533	2,898,058	-1,758,475	-1,390,410	4,183,969	2,793,558	
15.1	საკომისიო და სხვა შემოსავლები ვაჭრობის მომსახურების მიხედვით	6,219,064	5,030,679	11,249,742	6,595,752	6,272,323	12,868,075	
15.2	საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით	10,875,597	2,132,621	13,008,218	7,988,162	2,088,354	10,074,516	
16	მიღებული დივიდენდები	487,040	29,412	516,452	400,505	26,950	427,455	
17	მოგება (ზარალი) დივიდენდები ფასიანი ქაღალდებიდან	0	0	0	0	0	0	
18	მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	0	0	0	0	341	341	
19	მოგება (ზარალი) ვალუტის ანგარიშ-გაყიდვის ოპერაციებიდან	24,369,411	0	24,369,411	16,143,140	0	16,143,140	
20	მოგება (ზარალი) ქაღალდის სასსრების გადასახადებიდან	-10,946,131	0	-10,946,131	-7,641,052	0	-7,641,052	
21	მოგება (ზარალი) ტრანზიტივიდან	217,200	0	217,200	572,714	0	572,714	
22	სხვა საპროცენტო შემოსავლები მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები	2,174,581	430,252	2,604,833	2,308,121	431,493	2,739,614	
23	სხვა არასაპროცენტო შემოსავლები	1,249,926	690,930	1,940,856	1,406,860	414,962	1,821,822	
24	<b>მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები</b>	<b>12,895,492</b>	<b>4,048,653</b>	<b>16,944,144</b>	<b>11,799,877</b>	<b>5,057,716</b>	<b>16,857,593</b>	
	<b>არასაპროცენტო ხარჯები</b>							
25	სხვა საპროცენტო შემოსავლების მიხედვით მიღებული არასაპროცენტო ხარჯები	1,892,872	9,049,583	10,942,455	1,873,935	9,444,274	11,318,208	
26	ჩანკომისიის სესხების, საკომალტო და დანერგვის ხარჯები	5,076,832	2,871,858	7,948,690	3,116,927	3,602,194	6,719,121	
27	ჩანკომისიის ხარჯები	20,854,822	0	20,854,822	16,030,807	0	16,030,807	
28	ბირჟისა და სემიარბიტრის სექტორზე გაცემული ხარჯები	98,921	0	98,921	29,005	0	29,005	
29	ცვლისა და ამორტის ხარჯები	4,787,460	0	4,787,460	4,951,622	0	4,951,622	
30	სხვა არასაპროცენტო ხარჯები	3,788,055	8,512	3,796,567	3,755,116	27,106	3,782,222	
31	<b>მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები</b>	<b>36,498,962</b>	<b>11,929,953</b>	<b>48,428,915</b>	<b>29,757,413</b>	<b>13,073,574</b>	<b>42,830,986</b>	
32	<b>წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი</b>	<b>-23,603,470</b>	<b>-7,881,301</b>	<b>-31,484,771</b>	<b>-17,957,535</b>	<b>-8,015,858</b>	<b>-25,973,393</b>	
33	<b>წმინდა მოგება დარეზერვებამდე</b>	<b>24,611,383</b>	<b>23,943,480</b>	<b>48,554,862</b>	<b>22,917,714</b>	<b>25,721,469</b>	<b>48,639,183</b>	
34	ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	-5,498,236	-1,344,614	-6,842,850	-14,884,393	-9,617,548	-24,501,942	
35	ზარალი ინვესტიციებისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შესაძლო დანაკარგების მიხედვით	0	0	0	0	0	0	
36	ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	258,707	0	258,707	443,489	0	443,489	
37	<b>მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით</b>	<b>-5,239,529</b>	<b>-1,344,614</b>	<b>-6,584,143</b>	<b>-14,440,904</b>	<b>-9,617,548</b>	<b>-24,058,453</b>	
38	<b>მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებულ შემოსავალ-ხარჯებამდე</b>	<b>29,850,911</b>	<b>25,288,094</b>	<b>55,139,005</b>	<b>37,358,618</b>	<b>35,339,017</b>	<b>72,697,635</b>	
39	მოგების გადასახადი	9,082,181	0	9,082,181	10,293,859	0	10,293,859	
40	<b>მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ</b>	<b>20,768,731</b>	<b>25,288,094</b>	<b>46,056,825</b>	<b>27,064,759</b>	<b>35,339,017</b>	<b>62,403,776</b>	
41	გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები)	0	0	0	28,556	0	28,556	
42	<b>წმინდა მოგება</b>	<b>20,768,731</b>	<b>25,288,094</b>	<b>46,056,825</b>	<b>27,093,315</b>	<b>35,339,017</b>	<b>62,432,332</b>	

ცხრილი 6

2021 და 2022 წლების მოგება-ზარალის ანგარიშგებების შედარება გვიჩვენებს, რომ 2021 წელთან მიმართებაში წმინდა მოგება შემცირებულია 62,4 მლნ-დან 46,1 მილიონამდე.

შემოსავლების და ხარჯების ცვლილების ძირითადი გამომწვევი ფაქტორებია:

- მთლიანი საპროცენტო შემოსავლები გაზრდილია 2,8%-ით. ბანკის საპროცენტო შემოსავალი ძირითადად შედგება საშუალო და მცირე სექტორის დაფინანსებაზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლებისგან; ამავდროულად, საპროცენტო ხარჯები შემცირებულია 6,3%-ით. აღნიშნული ცვლილებები წმინდა საპროცენტო შემოსავლის 7,3%-იან ზრდაში აისახა.
- წმინდა არასაპროცენტო დანახარჯი გაიზარდა 21,2%-ით.
- წმინდა შემოსავლის ცვლილება რეზერვებამდე უმნიშვნელო იყო, წმინდა შემოსავლის შემცირება გამოწვეული იყო მთლიანი შესაძლო დანაკარგების რეზერვის განვითარებით. 2022 წლის განმავლობაში underperforming პორტფელი მნიშვნელოვნად შემცირდა და ადგილობრივი ვალუტის გამყარებასთან ერთად გამოიწვია მთლიანი შესაძლო დანაკარგების რეზერვის შემცირება.

## 7 კორპორაციული მართვა

### 7.1 აქციონერთა სტრუქტურა

პროკრედიტ ჰოლდინგი (ProCredit Holding AG & Co. KgaA) არის სს „პროკრედიტ ბანკი“-ს 100%-ანი წილის მფლობელი.

პროკრედიტ ჰოლდინგი (ProCredit Holding AG & Co. KgaA) პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის მშობელი კომპანიაა, რომელსაც აქციებით შეზღუდული პარტნიორობის სამართლებრივი ფორმა აქვს. პროკრედიტ ჰოლდინგს მართავენ "პროკრედიტ გენერალური პარტნიორი"-ს დირექტორთა საბჭოს წევრები. "პროკრედიტ გენერალური პარტნიორი"-ს დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია პროკრედიტ ჰოლდინგის მართვაზე საკანონმდებლო მოთხოვნების, "პროკრედიტ გენერალური პარტნიორი"-ს წესდებისა და შიდა პროცედურების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებების მიმღებ უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს.

ბანკის მმართველობითი ორგანოების უფლებები, ამოცანები და ვალდებულებები დეტალურად არის განსაზღვრული ბანკის წესდებით, რომლის საბოლოო ცვლილებები დამტკიცებულია აქციონერთა გადაწყვეტილებით 2021 წლის 12 ნოემბერს.

ბანკის აქციონერები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ და გადაწყვეტილებებს იღებენ აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერთა საერთო კრება აანალიზებს და განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მომზადებულ ანგარიშებს ბანკის საქმიანობის შესახებ,

ამტკიცებს ბანკის წლიურ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშებს, წლის განმავლობაში დაფიქსირებულ მოგება/ზარალის განთავსებასა და განაწილებას, იღებს გადაწყვეტილებებს რეზერვების შექმნისა და მოგების შენარჩუნების შესახებ, ამტკიცებს ბანკის საკუთარი კაპიტალის ზრდას ან შემცირებას, იღებს გადაწყვეტილებას ბანკის აქტივების გაყიდვის შესახებ.

აქციონერთა საერთო კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.

საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით		
1	ProCredit Holding AG & Co. KGaA	100%
<b>ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს წილების მითითებით</b>		
1	Zeitinger Invest GmbH	17.0%
2	KfW - Kreditanstalt für Wiederaufbau	13.2%
3	DOEN Participaties BV	12.5%
4	IFC - International Finance Corporation	10.0%
5	TIAA-Teachers Insurance and Annuity Association	8.6%

ცხრილი 7

## 7.2 პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭო

პროკრედიტ ბანკ საქართველოს დამაარსებელი და 100%-იანი წილის მფლობელია პროკრედიტ ჰოლდინგი.

პროკრედიტ ჰოლდინგი წარმოდგენილია ფრანკფურტის საფონდო ბირჟაზე, რაც უზრუნველყოფს კომპანიის კორპორაციული მართვის გამჭვირვალობასა და ღია კომუნიკაციას კომპანიის აქციონერებთან და დაკავშირებულ მხარეებთან. პროკრედიტ ჰოლდინგის განვითარებაზე ორიენტირებული მისია მჭიდრო კავშირშია მის საერთაშორისო აქციონერებთან. ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება პროკრედიტ ჯგუფი, მოიცავს მაღალ პროფესიულ სტანდარტებსა და პირადი ძალისხმევის მაღალ ხარისხს, სოციალურ პასუხისმგებლობასა და შემწყნარებლობას, ღია კომუნიკაციის კულტურასა და გამჭვირვალობას. ეს პრინციპები ვრცელდება პროკრედიტ ჯგუფის კორპორაციული მართვის ყველა ასპექტზე. კორპორაციულ მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებს მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს პროკრედიტ ჰოლდინგის 2022 წლის ანგარიშგებაში - ProCredit Group Impact Report 2022, რომელიც ხელმისაწვდომია ჰოლდინგის ვებგვერდზე: (<https://www.procredit-holding.com/investor-relations/reports-and-publications/non-financial-reports/>).

პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს შედგება 6 (ექვსი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა განისაზღვრება გერმანული კანონმდებლობით, კერძოდ German Stock Corporation Act (Aktiengesetz – “AktG”) and German

Banking Law (specifically Kreditwesengesetz – KWG § 25d). დამატებით, პროკრედიტ ჰოლდინგი შესაბამისობაშია და იცავს გერმანულ კორპორაციული მართვის კოდექსს (German Corporate Governance Code), გარდა პროკრედიტ ჰოლდინგის კორპორაციული მართვის რეპორტში მოცემული შემთხვევებისა, რომელიც განთავსებულია პროკრედიტ ჰოლდინგის წლიურ რეპორტში პროკრედიტ ჰოლდინგის ვებ-გვერდზე.

პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს პროკრედიტ ჰოლდინგის დირექტორთა საბჭოს, რომელსაც ახორციელებს პროკრედიტის „გენერალური პარტნიორი“ (ProCredit General Partner AG (“General Partner“)). „გენერალური პარტნიორის“ სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს იგივე წევრებით.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპოზიციასთან და დაბალანსებულობასთან დაკავშირებით პროკრედიტ ჰოლდინგი ითვალისწინებს გერმანული საბანკო აქტის 25-ე მუხლის (Article 25d of the German Banking Act (Kreditwesengesetz – “KWG”)) და გერმანული კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებს (გარდა იმ რეკომენდაციისა, რომელიც გულისხმობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადის რეგულარული ლიმიტის დაწესებას).

- პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საბანკო საქმის ცოდნისა და გამოცდილების პარალელურად გააჩნიათ: სათანადო ცოდნა და ინფორმაცია პროკრედიტ ჯგუფის ძირითად საქმიანობაზე;
- შესაბამისი დრო და მზაობა იმოგზაურონ იმ რეგიონებში, სადაც ოპერირებს პროკრედიტ ჯგუფი, რათა შეაფასონ ჯგუფის წევრი ბანკების საქმიანობა და დაიკავონ ჯგუფის წევრი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიცია;
- სათანადო ცოდნა ფინანსირებისა და მდგრადი განვითარების კუთხით.
- სულ მცირე ერთ წევრს უნდა ჰქონდეს პროფესიული გამოცდილება სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში.

სამეთვალყურეო საბჭო მიიჩნევს, რომ იგი შეესაბამება საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით განსაზღვრულ კონკრეტულ მიზნებს

პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება, მათი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, გერმანული საბანკო აქტის 25დ პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით. სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტებისას პროკრედიტ ჰოლდინგი ითვალისწინებს გენდერულ პრინციპებს. სამეთვალყურეო საბჭოს 6 წევრიდან სამი წევრი ქალია. (პროკრედიტ ჰოლდინგის 2022 წლის გამჭვირვალობის ანგარიში ხელმისაწვდომია ჰოლდინგის ვებგვერდზე: (<https://www.procredit-holding.com/wp-content/uploads/2023/03/2022-Disclosure-Report.pdf>)).

პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭო ძირითადად არ იღებს გადაწყვეტილებებს პროკრედიტ ბანკ საქართველოს საქმიანობასთან დაკავშირებით. პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს პროკრედიტ ჰოლდინგის დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეაფასოს პროკრედიტ ჯგუფის რისკის პროფილი. პროკრედიტ ჰოლდინგის დირექტორთა საბჭო სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ჯგუფის ბიზნეს და რისკების სტრატეგიის შესახებ მინიმუმ წელიწადში ერთხელ და რეგულარულად აწვდის ანგარიშს სტრატეგიების შესრულების სტატუსის შესახებ. პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭო მინიმუმ კვარტალში ერთხელ იღებს ჯგუფის რისკების ანგარიშს და ჯგუფის აუდიტორულ რეპორტს. პროკრედიტ ჯგუფის თითოეული ბანკი ოპერირებს პროკრედიტ ჰოლდინგის მიერ შემუშავებული ბიზნესისა და რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში.

2022 ფისკალური წლის განმავლობაში, სამეთვალყურეო საბჭომ თერთმეტი ჰიბრიდული შეხვედრა გამართა - ფიზიკური შეხვედრები, ონლაინ მონაწილეობის შესაძლებლობი გათვალისწინებით - Covid-19-ის წარსული შეზღუდვებიდან გამომდინარე. თითოეულ შეხვედრაზე დასწრებისა და განხილვების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს რეპორტში, რომელიც გამოქვეყნდა პროკრედიტ ჰოლდინგის წლიურ ანგარიშში.

პროკრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ან, ყველაზე მცირე, წელიწადში ერთხელ, ახდენს თავისი საქმიანობის ეფექტურობის შეფასებას.

### 7.3 პროკრედიტ ბანკის სამეთვალყურეო საბჭო

ბანკის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ. საფუძვლიანი მიზეზის არსებობისას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ნებისმიერ დროს შეიძლება გათავისუფლდნენ თანამდებობიდან აქციონერთა საერთო კრების მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იმავდროულად არ შეიძლება იყვნენ ბანკის თანამშრომლები.

სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ 2 (ორი) წევრისა უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრი. 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, საბჭოს წევრების 40% დამოუკიდებელია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამოუკიდებლობა ფასდება კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების მიხედვით და საბჭოს ყველა წევრის დანიშვნა შეთანხმებულია ეროვნულ ბანკთან. საბჭოს წევრების ცოდნა და გამოცდილება საბჭოს აძლევს შესაძლებლობას შეასრულოს თავისი ფუნქციები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. ზემოთ ხსენებული ასპექტები მხედველობაში მიიღება საბჭოს წევრის დანიშვნისას.

მოვალეობების დელეგირების შესახებ ინფორმაცია და სხვა დეტალები შეგიძლიათ იხილოთ ბანკის წესდებაში.

სამეთვალყურეო საბჭო დამსწრე ან წარმოდგენილ ხმათა სამი მეოთხედით განსაზღვრავს ბანკის ბიზნესის სტრატეგიას, იღებს და ამტკიცებს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს, ამტკიცებს ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ წლიურ ბიზნესის გეგმას (წლიური საოპერაციო ბიუჯეტის ჩათვლით), განიხილავს და ამტკიცებს ფინანსური წლის განმავლობაში დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ საქმიანობის ანგარიშს და ამზადებს ბანკის წლიურ ანგარიშს აქციონერთა საერთო კრებაზე წარსადგენად.

სამეთვალყურეო საბჭო, დისკრეციული უფლების საფუძველზე, ნებისმიერ დროს ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებს. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ათავისუფლებს აუდიტის კომიტეტის წევრებს.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ბანკის რეფინანსირების ნებისმიერი წყაროს შესახებ, ობლიგაციების გამოშვების შესახებ, სესხების აღების შესახებ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. სესხების აღებასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილებების შესრულების დელეგირებას ახდენს ბანკის დირექტორთა საბჭოზე.

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკას და მოცემულ პოლიტიკაში შესატან ცვლილებებს. სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ბანკსა და მის დირექტორთა საბჭოს ნებისმიერ წევრს შორის და/ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დადებულ გარიგებებს, რომელიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.

ცხრილში ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

	სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა	დამოუკიდებლობის სტატუსი
1	მარსელ სებასტიან ცაიტიზგერი	არადამოუკიდებელი თავმჯდომარე
2	ჯან მარკო ფელიჩე	არადამოუკიდებელ წევრი
3	რაინერ პეტერ ოტენშტაინი	დამოუკიდებელი წევრი
4	სანდრინე მასიანი	არადამოუკიდებელ წევრი
5	ნინო დადუნაშვილი	დამოუკიდებელი წევრი

ცხრილი 8

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ვადა განისაზღვრება 4 წლით, ან უფრო მოკლე ვადით, რომელსაც აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრავს. შესაძლებელია სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის ხელახალი არჩევა. თუმცა, მათი უფლებამოსილება წყდება არაუადრეს შემცვლელის არჩევისა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლებისას, მისი შემცვლელის არჩევა უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს მომდევნო სხდომამდე.

სამეთვალყურეო საბჭო, ხმათა უბრალო უმრავლესობით თავისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე აირჩევა იმავე ვადით, რომლითაც იგი აირჩა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხელახლა არჩევა შესაძლებელია.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე კვორუმი შემდგარია, თუ მას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მინიმუმ ორი მესამედი. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე გადაწყვეტილებები მიღებულად ითვლება წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წერილობითი ფორმით შეჯამებულია ბანკის წარმომადგენლის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ, რომელსაც განხილვის შემდეგ ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ოქმი შემოწმებისათვის ხელმისაწვდომია აქციონერებისათვის.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დირექტორთა საბჭოს მიერ ხდება წინასწარ შეთანხმებული საკითხების წარდგენა-განხილვა, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: სასესხო პორტფელის განვითარების მიმოხილვა, კლიენტების ბაზის და სტრუქტურის მიმოხილვა, მოზიდული სახსრების განვითარების მიმოხილვა, სასესხო პორტფელის ხარისხის მიმოხილვა, ბანკის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა, ძირითადი რისკის ინდიკატორების მიმოხილვა, საბანკო პროდუქტების და ბაზრის ტენდენციების მიმოხილვა.

ბანკში სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილია კომიტეტები „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნების მიხედვით: აუდიტის კომიტეტი და რისკების მართვის კომიტეტი.

აუდიტის კომიტეტი თვალს ადევნებს და აკონტროლებს ბანკის საქმიანობას. კომიტეტი, როგორც დამოუკიდებელი და ობიექტური მხარე, ემსახურება ბანკის რისკების მართვის პროცესების და შიდა კონტროლის სისტემების მონიტორინგს, ასევე დახმარებას უწევს შიდა და გარე აუდიტორებს მათ საქმიანობაში. კომიტეტს შეუძლია კონსულტაცია გაუწიოს საბჭოს ბანკის რისკების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. ის ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს შეასრულოს მისი ზედამხედველობის პასუხისმგებლობა რისკის მართვასთან, შიდა კონტროლის სისტემებთან და შესაბამისობასთან დაკავშირებით.

აუდიტის კომიტეტი უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისგან. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება:

- ნინო დადუნაშვილი - კომიტეტის თავმჯდომარე და სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
- რაინერ პიტერ ოტენშტაინი - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
- მარსელ სებასტიან ცაიტინგერი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



რისკების მართვის კომიტეტი თვალს ადევნებს და აკონტროლებს ბანკის რისკების მართვის ჩარჩოს. კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები ბანკის ამჟამინდელ და მომავალ რისკებთან დაკავშირებით, განიხილოს რისკის სტრატეგიები როგორც მთლიანი, ასევე ინდივიდუალური რისკების ჭრილში, მონიტორინგი გაუწიოს ბანკის რისკის კულტურას და რისკის მართვის პროცესის ეფექტურობას, განიხილოს სხვადასხვა სტრესის სცენარები და ა.შ.

რისკების მართვის კომიტეტი უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისგან. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით რისკების მართვის კომიტეტის შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება:

- რაინერ პიტერ ოტენშტაინი - კომიტეტის თავმჯდომარე და სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
- ნინო დადუნაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
- მარსელ სებასტიან ცაიტინგერი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

კომიტეტის შეხვედრები ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ. კომიტეტების ქვორუმი მიღწეულია კომიტეტების წევრების 2/3-ის დასწრების შემთხვევაში.

2022 წელს ჩატარდა აუდიტის და რისკების მართვის კომიტეტები ოთხჯერ ჩატარდა. ქვორუმი მიღწეული იყო ყველა შეხვედრაზე.

სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად უნდა აწარმოებდეს თვითშეფასების პროცესს და ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება საბჭოს საქმიანობის გარე შეფასება. სამეთვალყურეო საბჭოს ბოლო თვითშეფასებისას წევრებმა შეაფასეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორცაა კორპორაციული მართვა, რისკების მართვა, გადაწყვეტილებების მიღების ასპექტები, მენეჯმენტი და სხვა. საბჭოს თვითშეფასება ფარავს ინდივიდუალურ და კოლექტიურ ასპექტებს. თვითშეფასება მიზნად ისახავს საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობისა და ეფექტურობის შეფასებას. საერთო თვითშეფასება პოზიტიურია.

2022 წელს განხორციელდა პროგრედიტ ბანკი საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის გარე მიმოხილვა და შეფასება კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან მიმართებაში. შეფასება KPMG-მ ჩატარა. საერთო შეფასება დადებითად იქნა მიჩნეული. სამეთვალყურეო საბჭომ განიხილა გარე მხარის რეკომენდაციები და მიიღო გადაწყვეტილება რელევანტური რეკომენდაციებისთვის შესაბამისი ქმედებების განხორციელების შესახებ.

#### 7.4 პროკრედიტ ბანკის დირექტორთა საბჭო

ბანკის დირექტორთა საბჭო წარმართავს და ახორციელებს ბანკის ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად.

ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და ნებისმიერ დროს ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო დისკრეციული უფლების საფუძველზე.

ბანკის დირექტორთა საბჭო წარმოდგენილია 3 (სამი) დირექტორით. ბანკის წესდების შესაბამისად დირექტორთა რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმ სამი. ბანკის დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დირექტორთა საბჭოს წევრების წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით. დირექტორთა საბჭოს წევრები ინიშნებიან მაქსიმუმ ოთხი წლით, ან უფრო მოკლე ვადით, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს, ხელახალი დანიშვნის უფლებით. ცხრილში ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა	
1	ალექსი მატუა
2	ზეინაბ ლომაშვილი
3	მარიტა შეშაბერიძე


ცხრილი 9<sup>1</sup>

ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრები აკმაყოფილებენ საქართველოს კანონის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები) და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 50/04 „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (ბანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმები) მოთხოვნებს. დირექტორთა საბჭოს წევრებს გააჩნიათ ბანკში სხვადასხვა განყოფილებებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. თითოეულ დირექტორს დამთავრებული აქვს პროკრედიტ აკადემიის მენეჯმენტის სრული კურსი (ფიურტი, გერმანია).

დირექტორთა საბჭო თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში გარკვეული ამოცანების შესრულების დელეგირებას ახდენს ბანკის თანამშრომლებზე პასუხისმგებლობის განაწილების გათვალისწინებით, თუკი აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

<sup>1</sup> ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია პროკრედიტ ბანკის ვებ-გვერდზე: [www.procreditbank.ge](http://www.procreditbank.ge).

ბანკში მოქმედებს პასუხისმგებლობის დელეგირების სისტემა, რომლის რეგულარული მონიტორინგი ხორციელდება ბანკში მოქმედი კომიტეტების მეშვეობით. ბანკში კომიტეტები იმართება შესაბამისი კომიტეტისთვის დადგენილი რეგულარობით. ბანკში ფუნქციონირებს ზოგადი რისკების, კომპლაენსის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის, ადამიანური რესურსების მართვის, ბიზნეს და საკრედიტო რისკების, აქტივების და ვალდებულებების მართვის, გარემოს დაცვითი მენეჯმენტის კომიტეტები. ბანკში მოქმედ კომიტეტებს ესწრება დირექტორთა საბჭოს მინიმუმ 2 წევრი. კონკრეტულ კომიტეტზე სავალდებულოა იმ დირექტორთა საბჭოს წევრის დასწრება, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამის სფეროზე. ცხრილში მოცემულია ინფორმაცია 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით.



ცხრილი 10

### 7.5 რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესი

ბანკის მენეჯმენტი რეგულარულად იღებს რისკების შესახებ ყოველდღიურ, ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს შესაბამისი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, ბანკში დანერგილია ესკალაციის მექანიზმები და ad-hoc ანგარიშგების პროცესი ახალი რისკების, არსებულ ლიმიტებთან შეუსაბამობის ან ცნობილი რისკების შემთხვევაში, თუ რისკის დადგომის ალბათობა ან ზარალის თანხა მნიშვნელოვნად იზრდება.

პროკრედიტ ბანკის მენეჯმენტი მჭიდროდ თანამშრომლობს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთან კომპანიის მიზნების მისაღწევად. მენეჯმენტი სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად, დროულად და სრულყოფილად წარუდგენს ყველა იმ საკითხის ანგარიშს, რომელიც ბანკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს მოიცავს დაგეგმვასთან, ბიზნესის განვითარებასთან, რისკების მდგომარეობასთან, რისკების მართვასა და შესაბამისობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. რისკის თვალსაზრისით არსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს მიეწოდება დაუყოვნებლივ, რისკების მდგომარეობის შესახებ რეგულარული კვარტალური ანგარიშებისგან დამოუკიდებლად. ბანკის მენეჯმენტი და სამეთვალყურეო საბჭო კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებებს რეგულარული კონსულტაციებისა და განხილვის საფუძველზე განსაზღვრავს. ასევე, სამეთვალყურეო საბჭოს აუცილებლად უნდა ეცნობოს რისკების მართვის, შიდა აუდიტისა და კომპლაენსის განყოფილებების მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

## 8 რისკების მართვა

### 8.1 რისკების მართვის სტრატეგია

პროკრედიტ ბანკის რისკებისა და ბიზნესის სტრატეგიების განახლება ყოველწლიურად ხორციელდება. ბიზნესის სტრატეგიაში მოცემულია ბანკის ყველა არსებითად მნიშვნელოვანი ბიზნეს აქტივობის მიზნები და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებები, ხოლო ბანკის რისკების სტრატეგიაში განხილულია ბიზნესის სტრატეგიის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი მატერიალური რისკი და განსაზღვრულია რისკების მართვის მიზნები და ღონისძიებები. რისკების სტრატეგია განიხილავს ბანკის ყველა მატერიალურ რისკს და მათი მართვის სტრატეგიებს ინდივიდუალურად. რისკების სტრატეგიას ამტკიცებს პროკრედიტ ბანკის მენეჯმენტი, სამეთვალყურეო საბჭოსთან განხილვის შემდეგ. ბიზნესის სტრატეგია მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

რისკების მართვის ინფორმირებული და გამჭვირვალე ჩარჩო პროკრედიტ ბანკის სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ბიზნეს მოდელის ცენტრალური კომპონენტია. ეს, ასევე, აისახება ჩვენი რისკების მართვის კულტურაში, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება გადაწყვეტილების მიღების დაბალანსებულ პროცესებში. ყველა თანამშრომლისთვის სავალდებულო ქცევის კოდექსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ თვალსაზრისით, რადგან მასში ეს პრინციპებია აღწერილი.

ჩვენი მარტივი, გამჭვირვალე და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ბიზნესის სტრატეგიის შესაბამისად, ჩვენი რისკის სტრატეგია კონსერვატულია. პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის საერთო რისკების მართვის ჩარჩოს შესაბამისად, ბანკის მიზანია, უზრუნველყოს ლიკვიდურობისა და კაპიტალის ადეკვატურობის სათანადო დონე ნებისმიერი

მომენტისთვის, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად არასტაბილურია გარემო, და, ამასთან, მიაღწიოს სტაბილურ შედეგებს.

ქვემოთ ჩამოთვლილი ჩვენი საქმიანობის პრინციპები განსაზღვრავს ბანკის რისკების მართვის კონცეფციას. ამ პრინციპების თანმიმდევრული გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის წინაშე არსებულ რისკებს.

*i. ფოკუსირება ბიზნესის ძირითად მიმართულებაზე*

პროკრედიტ ბანკი ორიენტირებულია მცირე და საშუალო საწარმოებისა და ფიზიკური პირების ფინანსურ მომსახურებაზე. შესაბამისად, შემოსავლები ძირითადად მიიღება სესხებზე საპროცენტო შემოსავლისა და ანგარიშებზე შესრულებული ოპერაციებიდან საკომისიო შემოსავლის სახით. ბანკის ყველა სხვა მომსახურება ძირითადი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით ხორციელდება. პროკრედიტ ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას საკრედიტო რისკის, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკების, ლიკვიდურობისა და საოპერაციო რისკების მართვა განაპირობებს.

*ii. გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი, სიმარტივე და დივერსიფიკაცია*

პროკრედიტ ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულება - მცირე და საშუალო ბიზნესების დაფინანსება - განსაზღვრავს სესხებისა და დეპოზიტების დივერსიფიკაციის მაღალ ხარისხს. კლიენტთა კატეგორიების თვალსაზრისით, ეს დივერსიფიკაცია მოიცავს სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორს და კლიენტთა ჯგუფებს (მცირე და საშუალო საწარმოები და ფიზიკური პირები). საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია ბანკის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ჩვენი საქმიანობის თანმდევი მახასიათებელია ის, რომ ჩვენ ვცდილობთ კლიენტებს გავუწიოთ მარტივი, ადვილად გასაგები მომსახურებები. ეს ხელს უწყობს მაღალი ხარისხის გამჭვირვალობას არა მხოლოდ ცალკეული კლიენტისთვის, არამედ რისკების მართვის თვალსაზრისითაც. შედეგად, მაღალი ხარისხის დივერსიფიკაცია ისევე, როგორც ჩვენი მარტივი, გამჭვირვალე მომსახურებები და პროცესები მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის რისკის პროფილს.

*iii. კადრების სიფრთხილით შერჩევა და ინტენსიური ტრენინგები*

პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული საბანკო საქმიანობა გრძელვადიანი ურთიერთობით ხასიათდება როგორც კლიენტებთან, ასევე თანამშრომლებთან მიმართებაში. ამიტომ, ჩვენ პერსონალს ძალიან ფრთხილად ვარჩევთ და წლების მანძილზე საკმაოდ დიდ ინვესტიციას ვდებთ თანამშრომელთა განვითარებაში. პროფესიული ტექნიკური უნარ-ჩვევების ამაღლებასთან ერთად, ჩვენი ტრენინგების პროგრამის ძირითადი მიზანია ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციის კულტურის ჩამოყალიბება და შენარჩუნება. რისკების მართვის თვალსაზრისით, კარგად მომზადებული თანამშრომლები, რომლებიც ღიად გამოხატავენ

თავიანთი მოსაზრებებს, მნიშვნელოვანად განაპირობებენ რისკების პრევენციასა და აღმოჩენას.

### რისკების მართვის ძირითადი პრინციპები

რისკების მართვა მოიცავს რისკების იდენტიფიცირებას, გამოთვლას, მართვას, მონიტორინგს, კონტროლს და ანგარიშგებას. რისკების მართვაში პროკრედიტ ბანკი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის რეგულაციებს, გერმანიის მარეგულირებლის მიერ განსაზღვრულ "რისკების მართვისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს" (MaRisk), ეროვნული და საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ შესაბამის პუბლიკაციებსა და მრავალი წლის განმავლობაში შექმნილ ცოდნას. ამასთან, რისკების ჰეჯირებისა და შემცირების მიზნით შექმნილი მექანიზმების შეფასება რეგულარულად ხორციელდება, მათი მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, რისკების მართვისთვის გამოყენებული პროცედურები და მეთოდები კი ექვემდებარება მუდმივ განვითარებას. პროკრედიტ ბანკში რისკების მართვის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ.

- პროკრედიტ ბანკი იყენებს რისკის მართვის ერთიან ჩარჩოს, რომელიც პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის მინიმალურ სტანდარტებს ეფუძნება და საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს აერთიანებს. რისკების მართვის პოლიტიკებსა და სტანდარტებს ამტკიცებს პროკრედიტ ბანკის მენეჯმენტი; მათი განახლება რეგულარულად ხორციელდება. მოცემული პოლიტიკები და სტანდარტები განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს და ადგენს მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების მინიმალურ მოთხოვნებს.
- ნებისმიერი რისკის მართვის პროცესში ბანკი უზრუნველყოფს საზედადამხედველო და შიდა კაპიტალის ადეკვატური დონის შენარჩუნებას.
- ყოველწლიურად ჩატარებული რისკების ინვენტარიზაცია უზრუნველყოფს, რომ ყველა მატერიალური რისკი გამოვლინდეს და, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიებსა და რისკების მართვის პროცესებში მათი გათვალისწინება მოხდეს.
- ყველა მატერიალური რისკისთვის განსაზღვრულია ადრეული იდენტიფიცირების ინდიკატორები (ანგარიშგების თრიგერები) და ლიმიტები, რომელთა მონიტორინგიც სისტემატურად ხორციელდება.
- გაჯანსაღების გეგმის ფარგლებში, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წელს, ხდება ლიკვიდურობის, საკრედიტო რისკების, კაპიტალის ადეკვატურობის და მომგებიანობის მონიტორინგი. აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება სხვადასხვა სამოქმედო გეგმა ინდიკატორების დარღვევის შემთხვევაში.
- რეგულარული სტრეს-ტესტები ხორციელდება ყველა მატერიალური რისკის შემთხვევაში; სტრეს-ტესტები მოიცავს როგორც ინდივიდუალური რისკის კატეგორიას, ასევე სხვადასხვა რისკის კატეგორიების აგრეგირებულ შედეგებს.

- რეგულარული და ad-hoc ანგარიშგება ხორციელდება რისკის პროფილის შესახებ, რომელიც მოიცავს დეტალურ აღწერასა და შესაბამის კომენტარებს.
- რისკების მონიტორინგი და კონტროლი, ასევე შესაძლო რისკების კონცენტრაცია, ხორციელდება კომპლექსური ანალიზის ინსტრუმენტებით და მოიცავს ყველა მატერიალური რისკის კატეგორიას.
- დაწესებული მექანიზმების, ლიმიტებისა და მეთოდების შედეგიანობა და მიზანშეწონილობა მუდმივად კონტროლდება.
- ყველა ახალი ან მნიშვნელოვნად შეცვლილი მომსახურება დანერგვამდე გაივლის საფუძვლიან ანალიზს (ახალი რისკის დამტკიცების პროცესი). ეს პროცესი უზრუნველყოფს ახალი რისკების შეფასებასა და ყველა აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოსა და ტესტირების ჩატარებას მომსახურების დანერგვამდე.

პროკრედიტ ბანკში რისკების მართვის ძირითადი პრინციპები ითვალისწინებს ქვეყანაში ოპერირების განმავლობაში მიღებულ მნიშვნელოვან გამოცდილებას და ჩვენი კლიენტებისა და რისკების ზუსტ აღქმას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბიზნესგარემო ზოგადად გაუმჯობესდა, არასტაბილური მაკროეკონომიკური და გეოპოლიტიკური პირობები შედარებით არასტაბილურია. ჩვენი საქმიანობის დივერსიფიკაცია, კომპლექსურ გამოცდილებასთან ერთად, ამ რისკების მართვის მყარ საფუძველს წარმოადგენს.

## 8.2 რისკების მართვის და რისკების ანგარიშგების სისტემა

პროკრედიტ ბანკში რისკების მართვა ბანკის მენეჯმენტის საერთო პასუხისმგებლობას წარმოადგენს, რომელიც რეგულარულად ანალიზებს ბანკის რისკის პროფილს და გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ზომების გამოყენებაზე.

რისკების მართვის პროცესს პროკრედიტ ბანკის მენეჯმენტი სხვადასხვა კომიტეტების დახმარებით წარმართავს.

- საკრედიტო რისკების მართვის კომიტეტები<sup>2</sup> ახორციელებენ ბანკის საკრედიტო რისკის პროფილის მონიტორინგს, რაც მოიცავს ინდივიდუალური რისკის პოზიციების, ლიმიტების დაცვისა და საკრედიტო რისკის შესახებ შიდა და ბანკის ზედამხედველების მიერ დაწესებული მოთხოვნების მონიტორინგს.
- რისკების კომიტეტი (სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი რისკების კომიტეტი) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე; ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას ბანკში არსებული რისკის კულტურის; რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების

<sup>2</sup> საკრედიტო რისკის და ბიზნესის კომიტეტი, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის კომიტეტი, პორტფელის მართვისა და ანალიზის კომიტეტი, ვადაგადაცილებების მართვის კომიტეტი, სამართალწარმოების კომიტეტი.

ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე; მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე, ყველა სახის რისკს, როგორებიცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა.

- ზოგადი რისკების მართვის კომიტეტი მონიტორინგს უწევს ბანკის საერთო რისკის პროფილს, ლიმიტების დაცვასა და შიდა და ბანკის ზედამხედველების მიერ დაწესებულ კაპიტალის ადეკვატურობას. კომიტეტი განსაზღვრავს რისკებისადმი ტოლერანტობის ზღვრებს, პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის რისკების მართვის სისტემისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში. კომიტეტი მენეჯმენტს ეხმარება და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს კაპიტალთან, ლიკვიდურობის რისკთან, საბაზრო რისკებთან, საოპერაციო რისკებთან, მათ შორის თაღლითობის პრევენციისა და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებით.
- აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) პასუხისმგებელია ბანკის ლიკვიდურობის რეზერვისა და ლიკვიდურობის მართვის მონიტორინგზე, სესხებსა და ანაზრებზე საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრაზე, პროკრედიტ ბანკისთვის დაკრედიტების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ზომების კოორდინაციასა და ფინანსურ ბაზრებზე არსებითად მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ანგარიშგებაზე.
- კომპლენსისა და AML კომიტეტი ეხმარება და რჩევებს აძლევს მენეჯმენტს ბანკის რისკის პროფილის მიმდინარე მონიტორინგთან დაკავშირებით ფულის გათეთრებისა და შესაბამისობის თვალსაზრისით, ასევე AML რისკების პრევენციისთვის შესაბამისი ზომების მიღებასთან დაკავშირებით. კომიტეტი წარმოადგენს შესაბამისობის რისკების შეფასების ფორუმს, რომელიც განიხილავს სამართლებრივ ნორმებში ცვლილებების გავლენას და განსაზღვრავს იდენტიფიცირებული შესაბამისობის რისკების მნიშვნელობას.
- აუდიტის კომიტეტი (სამეთვალყურეო საბჭოსთან დაფუძნებული) როგორც დამოუკიდებელი და ობიექტური მხარე, ემსახურება ბანკის რისკების მართვის პროცესების და შიდა კონტროლის სისტემების მონიტორინგს, ასევე დახმარებას უწევს შიდა და გარე აუდიტორებს მათ საქმიანობაში. ადამიანური რესურსების კომიტეტი ამტკიცებს ყოველწლიურ კადრების დაკომპლექტებისა და ტრენინგის გეგმას, ანალიზს უკეთებს საშტატო სტრუქტურის განვითარებას, პასუხს აგებს კადრების დენადობის და დასაქმების პროცესზე, მონიტორინგს უწევს პერსონალის შეფასების პროცესს და იღებს სათანადო ზომებს მიღებული შედეგების საფუძველზე, ყოველწლიურად გადახედავს ხელფასებს და ცვლილებების შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, ამტკიცებს კადრებისა და პოზიციის ცვლილების, დაწინაურების, გაფრთხილების წერილების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებებს და პერიოდულად გადახედავს ბანკის ანაზღაურების პრაქტიკას.



- ეკო კომიტეტი ეხმარება და რჩევებს აძლევს მენეჯმენტს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: დაკრედიტების შედეგად გარემოსდაცვითი ზემოქმედების გაუმჯობესება / შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, ბანკის პოზიციონირება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციად და მისი რეპუტაციის გაძლიერება, ბანკის ენერგოეფექტურობის ღონის გაზრდა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობა, უარყოფითი გარემოსდაცვითი ზემოქმედებით გამოწვეული რისკების მინიმუმამდე დაყვანა, ბანკის პერსონალსა და კლიენტებს შორის გარემოსდაცვით და ენერგოეფექტურობის საკითხებზე ცნობიერებისა და ცოდნის ღონის ამაღლება.

ბანკს აქვს ეფექტური შესაბამისობის მართვის სისტემა, რომელსაც ამყარებს ჩვენი ქცევის კოდექსი და პერსონალის შერჩევის სისტემა და ტრენინგები. ქცევის კოდექსის დაცვა სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. კომპლაენსისა და რისკის მართვის სამსახურები, რომლებიც პასუხს აგებენ ადგილობრივი საბანკო რეგულაციების შესრულებაზე, რეგულარულ და ad-hoc ანგარიშებს აწვდიან ბანკის მენეჯმენტსა და პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის პასუხისმგებელ განყოფილებებს. ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ არის დადგენილ წესებთან შესაბამისობაში, ბანკს შეიძლება ეცნობოს ანონიმურად, სპეციალურად განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

შიდა აუდიტის განყოფილება არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული ბანკში, რომელიც ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგებას ახორციელებს აუდიტის კომიტეტის საშუალებით. აუდიტის კომიტეტს ამტკიცებს და მართავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. შიდა აუდიტის სამსახური აფასებს ბანკის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის შესაბამისობას. წელიწადში ერთხელ, პროკრედიტ ბანკის შიდა აუდიტის განყოფილება ახორციელებს ბანკის საქმიანობის რისკების შეფასებას, რათა მოხდეს რისკებზე დაფუძნებული წლიური აუდიტის გეგმის შემუშავება. პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის აუდიტის გუნდი ახორციელებს პროკრედიტ ბანკში ჩატარებული აუდიტის ხარისხის მონიტორინგს და ბანკის შიდა აუდიტს უწევს მეთოდოლოგიურ კონსულტაციებს.

შიდა აუდიტის განყოფილების შემოწმებისა და შეფასების პროცესში მოცულია შემდეგი საკითხები :

1. შიდა კონტროლის სისტემების სიცოცხლისუნარიანობა, შედეგიანობა, ეფექტიანობა და შესაფერისობა;
2. რისკების მართვისა და კონტროლის სისტემების, ანგარიშგებისა და საინფორმაციო სისტემების, ასევე ფინანსური და საბუღალტრო სისტემების გამოყენება, სიცოცხლისუნარიანობა, შედეგიანობა და შესაფერისობა;
3. არსებული სამართლებრივი და საბანკო ზედამხედველობის შესახებ დებულებების და სხვა მარეგულირებელი წესების დაცვა;

4. საქმიანობის განმსაზღვრელი სახელმძღვანელო დოკუმენტებთან ინსტრუქციებთან და წესებთან შესაბამისობა;
5. ყველა საოპერაციო და ბიზნეს პროცედურის სამართლებრივ მოთხოვნებთან და ზოგადად აღიარებულ სტანდარტებთან და პრინციპებთან შესაბამისობა, წესების დაცვა და აქტივების დასაცავად ზომების მიღება.

შიდა აუდიტის განყოფილება ყველა პროცესს განიხილავს რისკებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით იმ მიზნით, რომ განსაზღვროს შესამოწმებელი ერთეულების პრიორიტეტულობა.

საჭიროების შემთხვევაში, შიდა აუდიტის განყოფილება განსაზღვრავს ad-hoc აუდიტორული შემოწმების აუცილებლობას.

საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკს ყოველწლიურად უტარდება გარე აუდიტორული შემოწმება. გარე აუდიტორის შერჩევა ხორციელდება სატენდერო პროცედურებით. სატენდერო კომისიის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, სამეთვალყურეო საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას გარე აუდიტორის დანიშვნის შესახებ.

გარე აუდიტორულ შემოწმებას ყოველთვის ასრულებენ გამოცდილი აუდიტორული კომპანიები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და კანონმდებლობის მიხედვით მინიჭებული აქვთ ფინანსური ორგანიზაციებისთვის აუდიტის ჩატარების უფლება. ამასთანავე, აუდიტორთა ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით, ბანკი რეგულარულად იყენებს აუდიტორული კომპანიების მონაცვლეობის პრაქტიკას.

2022 წელს ფინანსურ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებულმა პირდაპირმა ხარჯმა შეადგინა 131 ათასი ლარი. გარდა ამისა ბანკის გარე აუდიტმა 2022 წელს ბანკს ჩაუტარა კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტი, რა მომსახურებაში გადახდილმა თანამაც შეადგინა 12,8 ათასი ლარი. ჯამში გადახდილმა თანხამ შეადგინა 143,8 ათასი ლარი. ბანკს არ მიუღია აუდიტორის/აუდიტორული ფირმების მიერ გაწეული სხვა პროფესიონალური მომსახურება.

ბანკში არსებობს შიდა კონტროლის ადეკვატური პროცესები და პროცედურები. სისტემა დაფუძნებულია მოვალეობების სეგრეგაციის და ორმაგი კონტროლის პრინციპებზე და, ასევე, მატერიალური რისკებისთვის ითვალისწინებს ბიზნესისა და რისკების კონტროლის ფუნქციების გამიჯვნას მენეჯმენტის დონის ჩათვლით; ეს უზრუნველყოფს რისკების მართვისა და რისკის კონტროლის ბიზნეს განყოფილებების ფუნქციებისგან დამოუკიდებლად განხორციელებას.

ბანკის რისკების მართვისა და რისკის კონტროლის ფუნქციები ორგანიზებულია ისეთი ფორმით, რომ განსაზღვროს, შეაფასოს და მონიტორინგი გაუწიოს ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს და უზრუნველყოს მოცემული რისკების კონტროლისთვის შექმნილი პროცესების სათანადო ფუნქციონირება და კოორდინაცია ბანკის შესაბამის ერთეულებს შორის თანამშრომლობით. ძირითადი ამოცანებია:

1. არსებული და პოტენციური რისკების ანალიზი მათი შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგისთვის ღონისძიებების, მეთოდებისა და პროცედურების შემუშავების მიზნით; ამ რისკების მიმართ ბანკის დაუცველობის ხარისხის განსაზღვრა;
2. ბანკის წინაშე არსებული რისკების შეფასება;
3. სტრეს-ტესტების/სცენარებისა და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე საბაზრო რისკების შეფასება;
4. შიდა/გარე რეგულაციებით ან/და ბანკის მენეჯმენტის მოთხოვნის შემთხვევაში, რისკების ადრეული იდენტიფიცირების სისტემის ადეკვატური დიზაინის უზრუნველყოფა;
5. რისკების მონიტორინგის მიზნით, კომიტეტებისთვის, ბანკის მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის ანგარიშების მომზადება;
6. რისკების შემცირების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება დირექტორთა საბჭოს ან/და ბანკის შესაბამისი კომიტეტების მიერ შემდგომი განხილვისა და დამტკიცებისთვის;
7. ბანკის განყოფილებების/ქვეგანყოფილებების ხელმძღვანელებისთვის ღონისძიებების მომზადება და განხორციელება, მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში რისკების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, და ბანკის მენეჯმენტისა და თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება იმ საბანკო რისკებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ საქმიანობას;
8. ფილიალების/სერვის პუნქტების წესებთან და პროცედურებთან შესაბამისობის შემოწმება, მათთვის ადგილზე ან დისტანციური მონიტორინგის ჩატარებისა და ანგარიშების მომზადების გზით.

ბანკის რეგულარულად ახდენს რისკების ანალიზს, ინტენსიურად განიხილავს მათ და დოკუმენტურად ადასტურებს სტანდარტიზებული ანგარიშების სახით. პროკრედიტ ბანკი ყოველთვიურად ამზადებს რისკების შესახებ ანგარიშებს პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის რისკების მართვისთვის/ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტისთვის (ALCO); რისკების შესახებ შემაჯამებელი ანგარიშები ყოველკვარტლურად წარედგინება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტსა და ბანკის რისკების მართვის კომიტეტებს. ცალკეული რისკისა და ბანკის საერთო რისკის პროფილის მონიტორინგი ხორციელდება მოცემული ანგარიშებისა და პასუხისმგებელი პერსონალის მიერ მოძიებული დამატებითი ინფორმაციის განხილვის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი თემატური სპეციალური ანგარიშები იქმნება. მონიტორინგისა და განხილვის მიზანი არის

მატერიალურ რისკებზე გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და პოტენციური პრობლემების შესახებ ადრეული ეტაპზე ინფორმირებულობა.

ბანკის რისკების განყოფილებები რეგულარულად ახორციელებენ პროკრედიტ ჰოლდინგის რისკების მართვის სხვადასხვა სამსახურების წინაშე ანგარიშგებას, ხოლო შესაბამის სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ ყოველკვარტლურად წარედგინება ინფორმაცია რისკებთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების შესახებ.

### 8.3 რისკის პროფილის შეფასება

პროკრედიტ ბანკის რისკების მართვის პროცესები შემუშავებულია საქმიანობის ბუნების, მასშტაბის, კომპლექსურობისა და რისკიანობის დონის შესაბამისად და ბანკის ბიზნესისა და რისკების სტრატეგიების გათვალისწინებით. ამ პროცესში აუცილებლად გათვალისწინებულია გერმანიის მარეგულირებლისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის სტანდარტები და შესაბამისი პუბლიკაციები.

რისკის მართვის პროცესები რისკების ინვენტარიზაციით გათვალისწინებულ ყველა მატერიალურ რისკს ითვალისწინებს; ამ პროცესების შესაბამისობა დადასტურებულია ბანკის მენეჯმენტის მიერ და ექვემდებარება შემდგომ განვითარებას. მცირე და საშუალო კლიენტების ჯგუფთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი წარმოადგენს ბანკის რისკის პროფილის არსებით შემადგენელს პროკრედიტ ბანკის ბიზნესის სტრატეგიიდან გამომდინარე, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაა.

რისკის ადრეული იდენტიფიცირების ინდიკატორებისა და (ანგარიშგების თრიგერები) და ლიმიტების კომპლექსური ერთობლიობა გამოიყენება რისკების შეფასების, მართვისა და შემცირების მიზნით. ლიმიტების სისტემა რისკების მართვის პოლიტიკებით დადგენილი პრინციპების განხორციელების ინსტრუმენტია, რომელიც ასახავს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრულ რისკის ტოლერანტობის დონეს (რისკისადმი მიდრეკილება). ინდივიდუალური რისკის კატეგორიისთვის დადგენილი ლიმიტების გარდა, მაგ. თითოეული მსესხებლისთვის განსაზღვრული ლიმიტები, შიდა კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშების ფარგლებში ბანკს განსაზღვრული აქვს, ასევე, ყველა მატერიალური რისკის ლიმიტები. რეგულარული მონიტორინგის მიზანია, გამოავლინოს რისკის კატეგორიების ფარგლებში ან რისკის ტიპებს შორის პოტენციური კონცენტრაციები; საჭიროების შემთხვევაში, ბანკი იღებს გადაწყვეტილებებს რისკის კონცენტრაციის შემცირებაზე.

რისკების ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბანკის რისკის პროფილის სრულ მიმოხილვას, წარმოადგენილია მატერიალური რისკების შესახებ პილარ 3-ის ანგარიშის ცალკეულ მუხლებში და კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ განმარტებებში.

## 9 საკრედიტო რისკი

პროკრედიტ ბანკი საკრედიტო რისკს განმარტავს როგორც ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება გარიგების მხარის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით ან ვადების დარღვევით შესრულებით. ჩვენ განვასხვავებთ კლიენტის საკრედიტო რისკს და კონტრაგენტთან დაკავშირებულ რისკს (ემიტენტის რისკის ჩათვლით). საკრედიტო რისკი წარმოადგენს პროკრედიტ ბანკის წინაშე არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან რისკს და კლიენტების სასესხო პორტფელი წარმოადგენს ამ რისკის უდიდეს ნაწილს.

### 9.1 კლიენტის საკრედიტო რისკი

#### 9.1.1 სტრატეგია და პრინციპები

ჩვენი საკრედიტო რისკების მართვის მთავარი მიზნებია საკრედიტო პორტფელის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, საკრედიტო პორტფელის დაბალი კონცენტრაცია და რისკების შესაბამისი სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვების შენარჩუნება. კლიენტების დაფინანსებისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ შემდეგი პრინციპებით:

- ვახორციელებთ საკრედიტო კლიენტების გადახდისუნარიანობის ინტენსიურ ანალიზს (ბანკი არ იყენებს შეფასების ე.წ. სქორინგის რაიმე მოდელს);
- ვახდენთ საკრედიტო რისკების ანალიზისა და დაკრედიტების ოპერაციების დროს განხორციელებული პროცესების ყურადღებით დოკუმენტირებას ისეთი ფორმით, რომ შესრულებული ანალიზები გასაგები იყოს გათვითცნობიერებული მესამე მხარისთვის;
- ვუზრუნველყოფთ ბანკის კლიენტების მიერ ჭარბი დავალიანების აღების მკაცრად თავიდან აცილებას;
- ვუზრუნველყოფთ კლიენტებთან პირადი და გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებას და რეგულარული კონტაქტის შენარჩუნებას;
- საკრედიტო დავალიანების დაფარვის მკაცრი მონიტორინგი;
- ვადაგადაცილებული სესხების შემთხვევაში, ვახორციელებთ კლიენტზე ორიენტირებულ სესხის ინტენსიურ მართვას;
- ვახდენთ გირაოს რეალიზაციას (მხოლოდ) გადახდისუნარიანობის შემთხვევაში;

კლიენტის საკრედიტო რისკის მართვის ჩარჩო წარმოდგენილია ბანკის შესაბამის პოლიტიკებსა და სტანდარტებში. პოლიტიკები, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს ბანკის დონეზე საკრედიტო რისკის მართვაზე პასუხისმგებლობებს, დაკრედიტების ორგანიზების პრინციპებს, სესხების გაცემის პრინციპებს და სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი გირაოს შეფასების სტრუქტურას. სტანდარტები შეიცავს ბიზნეს კლიენტებთან და ფიზიკურ პირებთან განხორციელებული დაკრედიტების ოპერაციებისა და შეთავაზებული საკრედიტო პროდუქტების დეტალურ განმარტებებს. სტანდარტებში ასევე

განსაზღვრულია რესტრუქტურისაციის, სასესხო რეზერვების შექმნისა და ჩამოწერის წესები. ამრიგად, პოლიტიკები და სტანდარტები განსაზღვრავს რისკების შემცირების მექანიზმებს როგორც სესხის გაცემამდე (საკრედიტო რისკების შეფასება) და სესხის გაცემის შემდეგ (მაგ. ფინანსური მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგი, რისკის ადრეული იდენტიფიცირების მაჩვენებლების ანალიზი, სესხების ინტენსიური მართვა და პრობლემური სესხების მართვა).

პროკრედიტ ბანკი კლიენტების საკრედიტო ვალდებულებებს სამ კატეგორიად ყოფს: მცირე ბიზნეს კლიენტების, საშუალო ბიზნეს კლიენტების და ფიზიკური პირების საკრედიტო ვალდებულებები. მცირე ბიზნეს კლიენტების საკრედიტო ვალდებულებების მოცულობა, როგორც წესი, მერყეობს 50,000 ევროდან 500,000 ევროს ფარგლებში, ხოლო საშუალო ბიზნეს კლიენტების საკრედიტო ვალდებულებები აღემატება 500,000 ევროს. კლიენტის კატეგორიიდან გამომდინარე, ბანკი საკრედიტო რისკის შეფასების დროს იყენებს საკრედიტო რისკის შეფასების სხვადასხვა ინტენსივობის პროცესს. ეს პროცესები ერთმანეთისგან განსხვავდება შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: თანამშრომლების პასუხისმგებლობების სეგრეგაციის ხარისხი, ინფორმაციის მოცულობა, რომელიც საკრედიტო ანალიზის საფუძველს წარმოადგენს, საკრედიტო გადაწყვეტილებების კრიტერიუმები და გირაოსთან დაკავშირებული მოთხოვნები. მნიშვნელოვან საკრედიტო ვალდებულებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პროცესში დანერგულია ბიზნესისა და რისკების კონტროლის ფუნქციების მკაცრი გამიჯვნა მენეჯმენტის დონის ჩათვლით.

პროკრედიტ ბანკის გამოცდილებამ აჩვენა, რომ გადახდისუნარიანობის საფუძვლიანი შეფასება წარმოადგენს საკრედიტო რისკების მართვის ყველაზე ეფექტურ ფორმას. შესაბამისად, პროკრედიტ ბანკის საკრედიტო გადაწყვეტილებები კლიენტის ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზს ეფუძნება. ამასთან, ადგილზე რეგულარული ვიზიტები ყველა კლიენტის შემთხვევაში ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს მათი ინდივიდუალური პირობებისა და საჭიროებების ადეკვატურ განხილვას.

პროკრედიტ ბანკში გადაწყვეტილების მიღების პროცესი უზრუნველყოფს, რომ ყველა საკრედიტო გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი კომიტეტის მიერ და დამტკიცების ლიმიტების ფარგლებში, რაც ასახავს გადაწყვეტილების მიმღებთა გამოცდილებას. მცირე და საშუალო კლიენტების დაკრედიტებაზე ყველა გადაწყვეტილება მიიღება ბანკის სათაო ოფისში არსებული შესაბამისი კომიტეტების მიერ და, გამონაკლისის ან ქვეყნის ლიმიტზე მეტის დამტკიცების საჭიროების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

გამოწვევებით სავსე საოპერაციო გარემოში დაგროვილმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ კრედიტუნარიანობის საფუძვლიანი შეფასება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მართვის ყველაზე ეფექტურ ფორმას. კრედიტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადი კრიტერიუმები ეფუძნება კლიენტის ფინანსურ მდგომარეობას, რომელსაც ემატება კლიენტის ლიკვიდურობის განხილვა და კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასება. ჩვენი

თანამშრომლები რეგულარულად სტუმრობენ ყველა მომხმარებელს ადგილზე, რათა მხედველობაში მიიღონ კლიენტის სპეციფიკური მახასიათებლები და საჭიროებები.

ბანკის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა ზღუდავს არაუზრუნველყოფილი საკრედიტო ოპერაციების შესრულებას. დაბალი საკრედიტო რისკისა და მოკლე ვადის გათვალისწინებით, შესაძლებელია სესხების გაცემა ნაწილობრივი უზრუნველყოფით. როგორც წესი, მაღალი რისკის პროფილის მქონე კრედიტები უზრუნველყოფილია გირაოთი, ძირითადად უძრავი ქონების საშუალებით.

საკრედიტო რისკის ეფექტური მონიტორინგისა და საკრედიტო ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, ბანკმა დანერგა შესაბამისი შიდა პროცედურები და ანგარიშგების წესები ადრეულ ეტაპზე საკრედიტო რისკის პოტენციური ზრდის მქონე კლიენტების იდენტიფიცირებისა და მართვის მიზნით. რაც უფრო ადრე იქნება ბანკი ინფორმირებული, საკრედიტო რისკის პოტენციურ გაუარესებაზე, მით უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ ბანკი შეძლებს დროული ზომების მიღებას რათა პოტენციურად თავიდან აიცილოს კრედიტის დეფოლტი ან მინიმუმამდე დაიყვანოს ნეგატიური ფინანსური გავლენა. რისკის ადრეული გამოვლენის პროცესი შექმნილია სტანდარტული საკრედიტო პორტფელის მართვის მხარდაჭერის მიზნით (ბიზნეს დეპარტამენტი, BCA და ფილიალების მენეჯერები). აღნიშნული ხორციელდება პოტენციური საკრედიტო რისკების ადრეულ ეტაპზე გამოვლენით, მათი შეფასებით და საჭირო ქმედებების განხორციელებით. ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნები სულაც არ მიუთითებს საკრედიტო რისკის რეალურ ზრდაზე, მაგრამ ისინი ხელს უწყობენ იმ მახასიათებლების იდენტიფიცირებას, რომლებსაც ჩვეულებრივ ავლენენ გაზრდილი საკრედიტო რისკის მქონე სესხები.

როგორც კი რომელიმე კრედიტზე ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი იზრდება, კლიენტი ექცევა ინტენსიური მენეჯმენტის ქვეშ. ძირითადი აქცენტი კეთდება კლიენტთან მჭიდრო კომუნიკაციაზე, საკრედიტო ვალდებულებების შეუსრულებლობის უფრო მაღალი რისკის წყაროს გამოვლენასა და კლიენტის საქმიანობის დეტალურ მონიტორინგზე. ცალკეული საკრედიტო ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკის შემცირების ზომებზე გადაწყვეტილებებს იღებენ გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოები.

პრობლემური სესხის მენეჯმენტის ფარგლებში საკრედიტო პორტფელი მოიცავს ყველა უიმედო სესხს. გადაწყვეტილებები, თუ რა ქმედება უნდა განხორციელდეს უიმედო სესხთან მიმართებაში, მიიღება კლიენტის ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, თუ ეს შესაძლებელია, და წერილობითი წინადადებით. პრობლემური სესხები შედგება აღდგენის პროცესში არსებული და იურიდიული წარმოების ქვეშ მყოფი სესხებისგან, განსაზღვრული სტრატეგიების შესაბამისად. წარმატებული აღდგენის კონცეფცია (ვალდებულების გადახდა ან სესხის გაჯანსაღება და დაბრუნება არაუიმედო მდგომარეობაში) უნდა იყოს ჩამოყალიბებული კლიენტის მიერ და შემდგომ კლიენტი უნდა მიჰყვას აღნიშნულ გეგმას პროგრეს თვალსაზრისით. თუ ბანკი გადაწყვეტს გირაოს აღსრულებას სესხთან

დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად, აღნიშნულ ქმედებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა დადოკუმენტირდება შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილებაში. სამოქმედო გეგმა მოიცავს გირაოს აღსრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დაგეგმილ/მოსალოდნელ პერიოდს. პრობლემური სესხების მენეჯმენტის ფარგლებში ბანკი რეგულარულად აფასებს სესხების ამოღების ალბათობას, განსაკუთრებულად იმ ვალდებულებებისთვის, რომელთაც აქვთ დიდი ხნის ვადაგადაცილება და დიდი ხანია უიმედო სესხად კლასიფიცირდებიან.

მთლიანი სასესხო პორტფელის საკრედიტო ხარისხის შეფასება ხორციელდება ყოველთვიურად და, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირად, რაც მოიცავს პორტფელის სტრუქტურისა და ხარისხის, რესტრუქტურიზებული სესხების, ჩამოწერების, აღდგენის და სესხის დაფარვის კოეფიციენტის (შესაძლო დანაკარგების რეზერვი შეფარდებული ვადაგადაცილებული სესხების მოცულობასთან) ანალიზს.

გარდა ამისა, საკრედიტო პორტფელის ხარისხის მონიტორინგის მიზნით, ბანკში დანერგილია აქტივების ხარისხის სამი დამატებითი მაჩვენებელი, რომელთა საფუძველზეც ბანკის საკრედიტო პორტფელი იყოფა შემდეგ კატეგორიებად: სტანდარტული (Performing), საყურადღებო (Underperforming) და უიმედო (Default) სესხები. სესხებისთვის ამ კატეგორიების მინიჭების პროცესი ეფუძნება რისკის კლასიფიკაციის სისტემას და გაცემული სესხის დამატებით რისკის მახასიათებლებს (მაგ. რესტრუქტურიზებულია სესხი თუ არა, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა). მაჩვენებლები ნათელ სურათს გვაძლევს ბანკის პორტფელის ხარისხის შესახებ და საკრედიტო რისკების მართვის პროცესს უწყობს ხელს.

პორტფელის ანალიზის ჭრილში ბანკი რეგულარულად აანალიზებს შემდეგ ფაქტორებს: მაკროეკონომიკური გარემო, საკრედიტო პორტფელის განვითარება სემენტისა და ვალუტის მიხედვით, საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა და ხარისხი ეკონომიკური სექტორების მიხედვით, კონკურენტული ანალიზი, აქტივების ხარისხის ინდიკატორები, რეკლასიფიკაცია, ჩამოწერა და აღდგენა, ქონების დასაკუთრების პროცესი და მოვლენების სხვა ad-hoc ანალიზები, რომლებიც გავლენას ახდენენ პორტფელის ხარისხზე.

კლიენტების საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკი არამატერიალურია ბანკისთვის სასესხო პორტფელის მაღალი ხარისხის დივერსიფიკაციის გამო. ეს დივერსიფიკაცია განპირობებულია სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებით. გარდა ამისა, პროკრედიტ ბანკი ზღუდავს საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკს შემდეგი მოთხოვნების საშუალებით: მსხვილი სესხები (რომელიც ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 10%-ს აღემატება) საჭიროებს ჯგუფის რისკების მართვის კომიტეტის თანხმობას, ამასთან არცერთი ცალკეული მსხვილი სესხი არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს, ხოლო ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 150%-ს.



## 9.2 კონტრაგენტის რისკი, ემიტენტის რისკის ჩათვლით

პროკრედიტ ბანკი კონტრაგენტის (მათ შორის ემიტენტის) რისკს განსაზღვრავს როგორც ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება კონტრაგენტის/ემიტენტის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანად შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ ან ვადების დარღვევით შესრულებით. პროკრედიტ ბანკს კონტრაგენტის რისკი ძირითადად ლიკვიდურობის მართვის, მათ შორის და მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობის, გამო წარმოიქმნება. გარდა ამისა, ბანკს აქვს მნიშვნელოვანი მოცულობის ლიკვიდური აქტივები განთავსებული საქართველოს ეროვნულ ბანკში, სავალდებულო მინიმალური რეზერვების სახით.

კონტრაგენტის რისკის მართვის მთავარი პრინციპია ბანკის ლიკვიდურობის უსაფრთხოდ და შეძლებისდაგვარად დივერსიფიცირებულად განთავსება. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ცდილობს ამ აქტივებიდან გარკვეული შემოსავლის მიღებას, უმთავრესი ამოცანაა, უზრუნველყოს უსაფრთხო განთავსება და დროული ხელმისაწვდომობა, ანუ კონტრაგენტის დაბალი რისკიანობა ლიკვიდური სახსრების განთავსების მთავარი განმაპირობებელია. შესაბამისად, ჩვენ ვმუშაობთ მხოლოდ ყურადღებით შერჩეულ, საიმედო, მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებთან; როგორც წესი, ლიკვიდურ სახსრებს განვთავსებთ მოკლე ვადით (ერთ თვემდე პერიოდით, მაგრამ, როგორც წესი, უფრო ხანმოკლე ვადებით) და ვიყენებთ ძალიან შეზღუდული რაოდენობის მარტივ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

ემიტენტის რისკის მართვა იგივე პრინციპებით ხორციელდება. პროკრედიტ ბანკს ეკრძალება სპეკულაციურ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება. პრინციპში, ხდება მხოლოდ მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდების შექმნა, როგორც წესი, მაქსიმუმ ერთ წლამდე ვადით. ადგილობრივ ვალუტაში ლიკვიდურობის დაბანდება უპირველესად ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდებში ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ ობლიგაციებში. ევროსა ან აშშ დოლარში ლიკვიდური სახსრების განთავსება, მეორე მხრივ, ხდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში მოქმედ ბანკებში. საბაზრო ფასების ცვლილების გავლენა ბანკზე მინიმალურია. მიზეზები ისაა, რომ ფასიანი ქაღალდების მოცულობა საკმაოდ დაბალია, მათი გადახდის ვადა ხანმოკლეა და ემიტენტების შერჩევა ხდება სიფრთხილით, რისკების შეფასების კონსერვატიული კრიტერიუმების საფუძველზე.

როგორც წესი, ჩვენი კონტრაგენტები არიან საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სახელმწიფო და კომერციული ბანკები. რისკის ძირითადი ტიპებია: ნოსტრო ანგარიშებზე ნაშთები, მოკლევადიანი ანაბრები, მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდები და არამატერიალური მოცულობის დერივატივები ლიკვიდურობის მართვისა და ჰეჯირების მიზნებისთვის (კერძოდ, სავალუტო სვოპები).

ჩვენი კონტრაგენტისა და ემიტენტის რისკები ძალიან დაბალია კონსერვატიული საინვესტიციო სტრატეგიის შედეგად. გარკვეულწილად მაღალი კონცენტრაციის დონე არსებობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ სავალდებულო მინიმალურ რეზერვებზე მოთხოვნის გამო. 2010 წლიდან, პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფს უცხოურ ვალუტაში არსებული სავალდებულო რეზერვები დაზღვეული აქვს მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს (MIGA) გარანტიით.

კონტრაგენტებსა და ემიტენტებთან დაკავშირებული რისკის მართვა ხორციელდება ლიმიტების სისტემის საფუძველზე. პროკრედიტ ბანკი ტრანზაქციებს ასრულებს მხოლოდ იმ კონტრაგენტებთან, რომლებსაც დეტალური ანალიზი უკვე ჩატარდათ და ლიმიტი დაუმტკიცდათ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) არაწევრ ქვეყნებში მოქმედი ბანკისთვის ან საბანკო ჯგუფისთვის საერთო ლიმიტი არ უნდა აღემატებოდეს პროკრედიტ ბანკის CRR კაპიტალის 10%-ს, პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის ALCO-ს ან რისკების მართვის კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე. ბანკისთვის, რომელიც რეგულირდება OECD-ის წევრ ქვეყნებში წარმოდგენილი მარეგულირებლების მიერ, ზღვარი არის 25%. როგორც წესი, ბანკის მიერ განთავსებული ვადიანი ანაზღაურების მაქსიმალური ვადაა ერთი თვე; 3 თვეზე მეტი ვადა უნდა დაამტკიცოს პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის ALCO-მ ან რისკების მართვის კომიტეტმა. მოცემული კომიტეტების თანხმობა, ასევე, სავალდებულოა ფასიან ქაღალდებში ჩადებული ნებისმიერი ინვესტიციის შემთხვევაში (ადგილობრივ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის ქაღალდების გარდა, რომელთა ნარჩენი ვადიანობა სამ თვეს შეადგენს).

რისკის კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით, თითოეული საბანკო ჯგუფისთვის და თითოეული სახელმწიფო ჯგუფისთვის (ცენტრალურ ბანკთან, სახელმწიფო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ორგანიზაციებთან) განსაზღვრულია დამატებითი მაქსიმალური ლიმიტი.

2022 წელი მნიშვნელოვანი იყო გამოწვევებით რუსეთ-უკრაინის ომის გამო, არა მხოლოდ ლოკალურ ბაზარზე, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც, რომლებთანაც ბანკს გრძელვადიანი თანამშრომლობა აკავშირებს. მიუხედავად დამატებული პოლიტიკური სიტუაციისა და გაურკვეველი მოლოდინებისა, ბანკმა კონტრაგენტის რისკი შეინარჩუნა დაბალ დონეზე აღნიშნული წლის განმავლობაში. ეს არის ბანკის თანმიმდევრული სტრატეგიის შედეგი, რომელიც გულისხმობს კონტრაგენტების შეფასებას, მკაფიოდ განსაზღვრულ ლიმიტებს და სანდო პარტნიორების დივერსიფიკაციას. ბანკის ძირითადი კონტრაგენტები უცვლელია. ბანკი აგრძელებს შერჩეულ კონტრაგენტებთან/ემიტენტებთან მუშაობას, ძირითადად მოკლე ვადიანობის გარიგებებით.

### 9.3 დერივატიული (წარმოებული) პოზიციებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი

პროკრედიტ ბანკში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენება ძალიან შეზღუდული მოცულობით. ისინი მხოლოდ უცხოური ვალუტის ჰეჯირებისთვის გამოიყენება; ბანკი არ უნდა დაკავდეს კერძო ან სპეკულაციური სავაჭრო ოპერაციებით. პროკრედიტ ბანკში გამოიყენება შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

- სავალუტო სვოპები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით შესრულებულ გარიგებებში მონაწილეობის რისკის შემთხვევაში, იგივე რისკის კლასიფიკაცია, ლიმიტის განმსაზღვრელი და მონიტორინგის პროცესები გამოიყენება, რაც კონტრაგენტის რისკის შემთხვევაში. ბანკი სავალუტო სვოპებს ძირითადად პროკრედიტ ბანკ გერმანიასთან ახორციელებს.

კონტრაგენტის ტიპისა და პროკრედიტ ბანკში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების დაბალი მოცულობის გამო, კონტრაგენტის/ემიტენტის რისკსა და საბაზრო რისკებს შორის შესაძლო კორელაცია უმნიშვნელოა.

### 9.4 საკრედიტო რისკის სტანდარტიზებულ მიდგომაში გარე რეიტინგებისა და საკრედიტო რისკის მიტიგაციის მეთოდების გამოყენება

პროკრედიტ ბანკი მხოლოდ სტანდარტიზებულ მიდგომას იყენებს, რათა განსაზღვროს საკრედიტო რისკის მოცულობა. პროკრედიტ ბანკი იყენებს სარეიტინგო სააგენტოს Fitch Ratings რეიტინგებს დავალიანების შემდეგი კლასების შესაფასებლად: "ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები ან ცენტრალური ბანკები", "ინსტიტუტები" და "ინსტიტუტები და მოკლევადიანი საკრედიტო შეფასების მქონე იურიდიული პირები". ვინაიდან, როგორც წესი, ჩვენს კლიენტებს არ აქვთ სარეიტინგო სააგენტოს შეფასება, პროკრედიტ ბანკი არ იყენებს რეიტინგებს "იურიდიული პირებისა" და "საცალო" კლასების მიმართ.

იმ რისკის შემთხვევაში, სადაც არსებობს გარე საკრედიტო შეფასება, რისკის წონა განისაზღვრება ამ გარე რეიტინგის საფუძველზე. რეიტინგის არმქონე რისკებისთვის აღებულია შესაბამისი მშობელი კომპანიის რისკის წონა. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, რისკი განიხილება როგორც სარეიტინგო სააგენტოს რეიტინგის არმქონე პოზიცია.

## 10 საბაზრო რისკები

საბაზრო რისკები არის ბაზრის ფასებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პოტენციური ზარალის რისკები (მაგ. სავალუტო კურსებში ცვლილების შედეგად). პროკრედიტ ბანკისთვის შესაბამისი საბაზრო რისკებია: სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი. პროკრედიტ ბანკი საბაზრო რისკებს ისე მართავს, რომ მათი გავლენა ბანკის საერთო რისკის პროფილზე მაქსიმალურად შეზღუდულია. ბანკის რისკების სტრატეგიის შესაბამისად, სპეკულაციური მიზნებისთვის სავალუტო რისკისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის აღება დაუშვებელია; უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და საპროცენტო განაკვეთის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ჰეჯირების მიზნებისთვის ან ლიკვიდურობის მისაღებად. პროკრედიტ ბანკი მკაცრად იცავს არასავაჭრო საბანკო დაწესებულებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 10.1 სავალუტო რისკი

ბანკი სავალუტო რისკს განსაზღვრავს, როგორც უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით მიღებული ზარალის ან უარყოფითი გავლენის რისკს. სავალუტო რისკმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტების შემცირება გამოიწვიოს.

ნეგატიური შედეგი ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობა განსახვავდება და შესაბამისი უცხოური ვალუტის გათვლითი კურსები ლართან მიმართებაში ბანკისთვის არახელსაყრელი მიმართულებით იცვლება. ძირითადი რისკის მაჩვენებელი, რომელიც თითოეული ვალუტის შემთხვევაში შეუსაბამობას ავლენს საბალანსო ანგარიშში, არის ღია სავალუტო პოზიცია (OCP). საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი შეადგენს ბანკის CRR კაპიტალის 10%-ს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ლიმიტიდან გადახვევას ამტკიცებს პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის ALCO ან რისკების მართვის კომიტეტი. რისკის დროულად შეფასების მიზნით, პროკრედიტ ბანკს დადგენილი აქვს ადრეული იდენტიფიცირების მაჩვენებელი - CRR კაპიტალის 7.5%-იანი ბარიერი საერთო ღია სავალუტო პოზიციისთვის, ხოლო  $\pm 5\%$  განსაზღვრა თითოეული ვალუტის ღია სავალუტო პოზიციისთვის.

სავალუტო რისკმა შეიძლება შეამციროს საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები, რადგან ბანკის კაპიტალი ადგილობრივ ვალუტაშია წარმოდგენილი, ხოლო მისი აქტივების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ასეთ შემთხვევაში, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს კაპიტალის ადეკვატურობის მნიშვნელოვან გაუარესებას, რადგან უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი აქტივების ღირებულება მოიმატებს (ლარის გაუფასურების გამო) და, შესაბამისად, ბანკს ექნება უფრო მეტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, ხოლო ლარში დენომინირებული კაპიტალის მოცულობა უცვლელი დარჩება. ამ რისკის შესამცირებლად, ბანკი მიზნად ისახავს ადგილობრივ ვალუტაში წარმოდგენილი

აქტივების წილის გაზრდას. მინიმუმ კვარტალში ერთხელ, კაპიტალის ადეკვატურობის პროგნოზირების ფარგლებში, ტარდება სავალუტო რისკის სტრეს-ტესტები, რომლებიც ასახავს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებზე გაცვლითი კურსის არახელსაყრელი განვითარების შედეგებს.

2022 წლის განმავლობაში ბანკის სავალუტო რისკი შენარჩუნდა დაბალ დონეზე, რადგან ბანკის პოლიტიკიდან გამომდინარე, ბანკი მუშაობს მცირე ღია სავალუტო პოზიციით. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში სავალუტო ბაზრის მერყევი და სტრესული სიტუაციიდან გამომდინარე, რაც კიდევ უფრო გაამძაფრა რუსეთ-უკრაინის ომმა და მაკროეკონომიკურმა სტრესმა, ბანკისთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სავალუტო რისკი.

## 10.2 საპროცენტო განაკვეთის რისკი საბანკო წიგნში

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებით გამოწვეული ზარალის რისკი და წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების ვადებს შორის სტრუქტურული შეუსაბამობის შედეგად. ის რეგულარულად ფასდება, მინიმუმ თვეში ერთხელ.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, პროკრედიტ ბანკი ორიენტირებულია ცვლადი და შერეული (ფიქსირებულს + ცვლადი) საპროცენტო განაკვეთით სესხების პორტფელის გაზრდაზე. ამ გზით, აქტივების გადაფასების ვადები შეიძლება უკეთ შეუთავსდეს ვალდებულებების გადაფასების ვადებს, მაშინაც კი, როდესაც ვალდებულებების დაფარვის ვადა სესხების დაფარვის ვადაზე ნაკლებია. ცვლადი და შერეული საპროცენტო განაკვეთით სესხების გამჭვირვალედ გაცემის მიზნით, საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრისას, ბანკი ორიენტირად იყენებს საჯაროდ ხელმისაწვდომ საპროცენტო განაკვეთებს (ლიბორი, ევრობორი, სეზ-ის რეფინანსირების განაკვეთი, სხვა). ადგილობრივ ვალუტაში საპროცენტო განაკვეთის რისკის მიტიგაციის ფინანსური ინსტრუმენტები (ჰეჯები) ხელმისაწვდომი არ არის.

საპროცენტო განაკვეთის რისკის შეფასების, მონიტორინგისა და შეზღუდვის მიზნით ბანკი იყენებს მიდგომას, რომელიც ეფუძნება ვადიანობების გადაფასების ანალიზს. აქტივები და ვალდებულებები გადანაწილებულია სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებულ ვადებზე. ბანკი საპროცენტო განაკვეთის რისკს აფასებს ორი მაჩვენებლის მიხედვით: EVI - ეკონომიკურ ღირებულებაზე გავლენა, შედარებით გრძელვადიანი პერსპექტივა, და IEI - საპროცენტო შემოსავლების მაჩვენებელი, 12-თვიანი პერსპექტივა.

ბანკის ეკონომიკური ღირებულება არის ყველა მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება, ანუ აქტივებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების მიმდინარე ღირებულება მინუს ვალდებულებებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე ღირებულება. ასევე გათვალისწინებულია მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ამჟამინდელი ღირებულება, რომელიც დამოკიდებულია საპროცენტო

განაკვეთებზე ბანკის ბალანსის გარეშე მუხლებიდან. ეკონომიკური ღირებულების რისკი არის რისკი იმისა, რომ შემცირდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება უკვე შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძობიარე აქტივებიდან და ვალდებულებებიდან. ეკონომიკური ღირებულების რისკი იზომება ეკონომიკური ღირებულების ზემოქმედებით, რომელიც წარმოადგენს ბანკის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების ცვლილებას, რაც გამოწვეული იქნებოდა საპროცენტო განაკვეთის შოკით. ეკონომიკური ღირებულების რისკს აქვს გრძელვადიანი პერსპექტივა და, შესაბამისად, განსაზღვრავს რისკს, რომელიც წარმოიქმნება გრძელ ვადაში საბალანსო უწყისის გადაფასებისგან. ეკონომიკური ღირებულების ზემოქმედების ზომა დამოკიდებულია პროცენტის მიმართ მგრძობიარე აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების სტრუქტურასა და მახასიათებლებზე, ასევე საპროცენტო განაკვეთის სავარაუდო ცვლილებაზე.

საპროცენტო შემოსავლის რისკი ითვალისწინებს, თუ როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებამ ბანკის მომგებიანობაზე განსაზღვრულ დროში, მისი ამჟამინდელი გადაფასების სტრუქტურის გათვალისწინებით. საპროცენტო შემოსავლის რისკს აქვს მოკლევადიანი პერსპექტივა (ერთ წლამდე) და განსაზღვრავს რისკს, რომელიც წარმოიქმნება მოკლევადიანი გადაფასების შეუსაბამობებით. იგი იზომება საპროცენტო შემოსავალზე ზემოქმედებით, რომელიც აჩვენებს წმინდა საპროცენტო შემოსავლის ცვლილებას ერთი წლის ჭრილში, ასევე ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების ეფექტს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის კონტროლის მიზნით ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს და ადრეულ თრიგერებს. ლიმიტები არ უნდა დაირღვეს. თრიგერები ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნის ფუნქციას ასრულებს, თუმცა მათი დარღვევა პირდაპირ არ გულისხმობს ზომების მიღების აუცილებლობას. ლიმიტები ეხება საპროცენტო განაკვეთის რისკის ძირითად ინდიკატორებს და ზღუდავს საპროცენტო განაკვეთის რისკს მისაღებ დონემდე.

ბანკის მიერ დაცულია შემდეგი ლიმიტები და თრიგერები საპროცენტო განაკვეთის რისკის ძირითადი ინდიკატორებისთვის:

- მთლიან ეკონომიკურ ღირებულებაზე გავლენა სტანდარტულ პარალელურ სცენარებში: დაწესებულია ბანკის CRR კაპიტალის 15%-იანი ზედა ზღვარი. თრიგერი განისაზღვრება, როგორც ბანკის CRR კაპიტალის 10%.

- მთლიანი 12-თვიანი საპროცენტო შემოსავალზე გავლენა სტანდარტულ პარალელურ სცენარებში: ბანკების ზედა ზღვარი შეადგენს ბიზნეს გეგმის<sup>3</sup> მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე წლის წმინდა საპროცენტო შემოსავლის 25%-ს, თრიგერი განისაზღვრება, როგორც იმავე მონაცემის 20%.

## 11 ლიკვიდურობის რისკები

### 11.1 ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკი

ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკი ეხება პროკრედიტ ბანკის მოკლევადიან და გრძელვადიან უნარს, სრულად და დროულად, თუნდაც სტრესულ სიტუაციებში, შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები.

ზოგადად, ბანკის ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკი ლიმიტირებულია იმ ფაქტით, რომ ბანკის მიერ გაცემული სესხების უდიდესი ნაწილი გაცემულია ყოველთვიური გადახდის პირობით, რომელიც დაფინანსებულია ძირითადად კლიენტთა დეპოზიტებით. დეპოზიტების მოზიდვის ოპერაციები ორიენტირებულია ბიზნეს კლიენტებისა და მეანაბრეების სამიზნე ჯგუფზე, ვისთანაც სტაბილური ურთიერთობას ვამყარებთ. 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის მიერ და 2020-2021 წლის პანდემიური სიტუაციის მიერ გამოწვეულმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ კლიენტთა დეპოზიტები დაფინანსების სტაბილური და საიმედო წყაროა. 2022 წლის დეკემბრის ბოლოს, დაფინანსების ყველაზე დიდი წყარო კლიენტთა დეპოზიტებია.

ჩვენ მოკლევადიანი ლიკვიდურობის რისკს, სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, ვაფასებთ ლიკვიდურობის გეპის (ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობა სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით) ანალიზით და ამ რისკის მონიტორინგს ვახორციელებთ 30-დღიანი ლიკვიდურობის მაჩვენებლის (საკმარისი ლიკვიდურობის მაჩვენებელი - SLI) და 90-დღიანი ლიკვიდურობის მაჩვენებლის (Survival Period) საფუძველზე, ასევე, ლიკვიდობის მინიმალური კოეფიციენტების შესაბამისად, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი (ეროვნული ბანკის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი - LCR) და CRR (CRR ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი - CRR LCR). საკმარისი ლიკვიდურობის მაჩვენებლით ფასდება, თუ რამდენად საკმარისი ლიკვიდურობა აქვს ბანკს მოსალოდნელ შემოსულ და გასულ ფულად სახსრებზე მომდევნო 30 დღის განმავლობაში. გაანგარიშება ითვალისწინებს ბანკებში დეპოზიტების მოძრაობის ისტორიული ანალიზის შედეგად დეპოზიტების გადინებას. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტები გვიჩვენებს, თუ რამდენად საკმარისი ლიკვიდურობა აქვს ბანკს იმისათვის, რომ დაფაროს მომდევნო 30 დღის განმავლობაში მოსალოდნელი დეპოზიტების გადინება, მძიმე ეკონომიკური შოკის სცენარის

<sup>3</sup> 2022 წლის აგვისტოს შემდეგ, მიმდინარე წლის პროგნოზირებული წმინდა საპროცენტო შემოსავალთან მიმართებაში ALCO-ს პროგნოზის მიხედვით

შემთხვევაშიც კი. დამატებით, ბანკი ახდენს 3-თვიანი სტრესული მდგომარეობის შემთხვევაში ლიკვიდურობის დონის ანალიზს და დაწესებული აქვს შესაბამისი ლიმიტები.

გარდა ამისა, პროკრედიტ ბანკი საქართველო ახორციელებს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის - NSFR (Net Stable Funding Ratio) ანგარიშგებას პროკრედიტ ჯგუფისთვის. ეს კოეფიციენტი ადგენს სტაბილური დაფინანსების მინიმალურ დასაშვებ რაოდენობას ერთი წლის ჭრილში, ბანკის საბალანსო უწყისის და ბიზნეს საქმიანობის ლიკვიდურობის მახასიათებლებზე დაყრდნობით. 2014 წლის ივნისიდან პროკრედიტ ბანკი ახორციელებს NSFR ანგარიშგებას და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნას (100%). ამასთან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა NSFR-ის რეგულაცია შემოიღო 2018 წელს. 2019 წლის სექტემბრიდან ბანკი იცავს მოთხოვნილ 100%-იან კოეფიციენტს.

გარდა ამისა, ბანკს განსაზღვრული აქვს რისკის ადრეული იდენტიფიცირების მაჩვენებლები, რომელთა მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება. ამ თვალსაზრისით მთავარი ინდიკატორია დეპოზიტების კონცენტრაციის მაჩვენებელი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ბანკი ნებისმიერ დროს ფლობდეს საკმარისი მოცულობის მაღალი ლიკვიდურობის აქტივებს, რათა შეძლოს მნიშვნელოვანი მოცულობის დეპოზიტების გადინების უზრუნველყოფა.

ბაზრის რისკთან დაკავშირებული, კომბინირებული და გრძელვადიანი სტრეს-ტესტები ტარდება ყოველთვიურად და, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირად, რათა პროკრედიტ ბანკმა უზრუნველყოს საკმარისი ლიკვიდური სახსრების არსებობა მისი ვალდებულებების შესასრულებლად, რთულ პერიოდებშიც კი. დამატებით, ბანკს აქვს სამოქმედო გეგმა ლიკვიდურობასთან დაკავშირებით გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში. თუ მოულოდნელი გარემოებები წარმოიქმნება და ბანკს არ აქვს საკმარისი ლიკვიდური სახსრები, პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფს, ასევე, შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა ლიკვიდურობასთან დაკავშირებით გაუთვალისწინებელი გარემოებებისთვის, რომლის მიხედვითაც პროკრედიტ ჰოლდინგი წარმოადგენს ბანკის "დაფინანსების ბოლო წყაროს". პროკრედიტ ჰოლდინგი ლიკვიდური აქტივების სათანადო რეზერვს ინახავს ამ მიზნით. ლიკვიდური აქტივების რეზერვის ოდენობა განისაზღვრება პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის სტრეს-ტესტების საფუძველზე და კონტროლდება რეგულარულად.

ბანკის ლიკვიდურობის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს ხაზინის განყოფილება ფულადი ნაკადების პროგნოზების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) და ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს რისკების მართვის განყოფილება.

დაფინანსების რისკი არის დამატებითი დაფინანსების არმილების ან მნიშვნელოვნად მაღალი ხარჯებით მიღების საფრთხე. აქედან გამომდინარე, ეს რისკი ფარავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების არასისტემური შედეგის დეტალებს. ეს რისკი მცირდება იმ ფაქტით, რომ დაკრედიტების ოპერაციებს, პირველ რიგში, ვაფინანსებთ საცალო კლიენტების



დეპოზიტებიდან, რომელსაც ემატება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (IFIs) გრძელვადიანი სახსრები. ჩვენ ნაკლებად ვიყენებთ ბანკთაშორის და ფინანსურ ბაზრებს.

პროკრედიტ ბანკი დაფინანსების რისკს მართავს, აფასებს და ზღუდავს ბიზნესის დაგეგმვის, ვადიანობების გეპების ანალიზისა და შესაბამისი მაჩვენებლების მეშვეობით. ასევე, ბიზნესის დაგეგმვის პროცესში გამოვლენილი ბანკის დაფინანსების საჭიროებებს მონიტორინგი უტარდება და რეგულარულად გადაიხედება ჯგუფის დონეზე. პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის ALCO და ბანკის ALCO მონიტორინგს უწევს დაფინანსების გარე მომწოდებლებთან, განსაკუთრებით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, წარმოებული ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ტრანზაქციის მიმდინარეობას. პროკრედიტ ჰოლდინგი და პროკრედიტ ბანკი გერმანია, ასევე, გვთავაზობენ დროებით (შუალედურ) დაფინანსებას იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსების მიღების ვადა გადაიწევის. ბანკს დადგენილი აქვს ორი მაჩვენებელი, რომლებიც ზღუდავს ბანკთაშორის ბაზრიდან დაფინანსების მიღების მოცულობას.

გასულ წელს ფინანსური სისტემა გარკვეულ მოსალოდნელ სირთულეებს შეეჩეხა რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე. ბანკმა გააანალიზა ლიკვიდურობასთან დაკავშირებული პოტენციური სტრეს სცენარები, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პროკრედიტ ჯგუფის ერთ-ერთი ბანკი უკრაინაში ოპერირებს. პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით, თავდაპირველად დეპოზიტების სტანდარტულზე მაღალი გადინების მოლოდინი იყო. ამის მიუხედავად, პროკრედიტ ბანკმა შეძლო რომ შეენარჩუნებინა სტაბილური და მაღალი ლიკვიდურობა 2022 წლის განმავლობაში.

## 11.2 დაჯავშნილი და თავისუფალი აქტივები

აქტივები ითვლება დაჯავშნილად, თუ ისინი დაგირავებულია ან განსაზღვრულია დასაგირავებლად გირაოს ხელშეკრულებებში ან სხვა ხელშეკრულებებში, რომელთა მიზანია, საბალანსო ან ბალანსგარეშე ანგარიშებით გათვალისწინებული ტრანზაქციების საკრედიტო შეფასების გაუმჯობესება, და შეუძლებელია ამ აქტივების აღნიშნული ხელშეკრულებების პირობებიდან (მაგ.: გირაო დაფინანსების მიზნით) გათავისუფლება.

პროკრედიტ ბანკს ძალიან მცირე მოცულობის დაჯავშნილი აქტივები აქვს, რადგან ბანკი საქმიანობას დიდწილად დეპოზიტებიდან აფინანსებს. დაჯავშნილი აქტივები ძირითადად მოიცავს ლარში დენომინირებულ აქტივებს, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ბანკთან გაფორმებულ გირაოს ხელშეკრულებებში გაითვალისწინება, თუ ბანკი 7-დღიან რეფინანსირების ან FRL სესხს მიიღებს საქართველოს ეროვნული ბანკისგან. საქართველოს ეროვნულ ბანკში დაგირავების მიზნით, ეს აქტივები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

## 12 საოპერაციო რისკი

CRR-ის შესაბამისად, საოპერაციო რისკს განმარტავთ როგორც ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესების, ადამიანთა ქმედების ან სისტემების ან გარეშე მოვლენების შედეგად. ეს განმარტება მოიცავს თაღლითობის რისკს, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებს, სამართლებრივ რისკს, რეპუტაციულ რისკსა და აუთსორსინგის რისკს.

ბანკში 2009 წლიდან დანერგილია საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია ბანკის მენეჯმენტის მიერ და განახლდება ყოველწლიურად. პოლიტიკაში განსაზღვრული პრინციპები პასუხობს საოპერაციო რისკის მართვის სტანდარტიზებული მიდგომის მოთხოვნებს CRR-ის, სებ-ის საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

საოპერაციო რისკის მართვის მიზანია რისკების გამოვლენა ადრეულ ეტაპზე და ზარალის შემთხვევების გამეორების თავიდან აცილება. ძირითადი მართვის მექანიზმებია რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზა (RED), საოპერაციო და თაღლითობის რისკების ყოველწლიური შეფასებები, რისკების ძირითადი მაჩვენებლები (KRI) და ყველა ახალი მომსახურების და პროცესის სტრუქტურული ანალიზი - ახალი რისკის დამტკიცების (NRA) პროცესი.

რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზა შემუშავდა იმ მიზნით, რომ განხორციელდეს პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფში გამოვლენილი ყველა საოპერაციო რისკის შემთხვევის დოკუმენტირება, ანალიზი და ეფექტურად კომუნიცირება. ყველა პროკრედიტ ბანკი ახორციელებს რისკის შემთხვევების დოკუმენტირებას წარმოდგენილი სტრუქტურის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს, საოპერაციო და თაღლითობის რისკების შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი გამოსასწორებელი ან პრევენციული ზომების გატარებას.

რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული შემთხვევების ანალიზისგან განსხვავებით, წლიური რისკების შეფასებები სისტემატურად ხორციელდება იმისათვის, რომ გამოვლინდეს და შეფასდეს დამატებითი რისკები, ასევე, განისაზღვროს კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობა. ეს ორი მექანიზმი ერთმანეთს ავსებს და ასახავს პროკრედიტ ბანკის საოპერაციო რისკის პროფილის საერთო სურათს.

პოტენციურად გაზრდილი თაღლითობის რისკის შესაფასებლად, ასევე, გამოიყენება რისკის მაჩვენებლები საბანკო ოპერაციების კონკრეტულ სფეროსა თუ კონკრეტულ ფილიალებში. ბანკი რეგულარულად ახორციელებს ამ მაჩვენებლების ანალიზსა და დამატებითი პრევენციული ზომების საჭიროებას.

საოპერაციო რისკის სრულფასოვანი მართვის განსახორციელებლად, აუცილებელია ყველა ახალი მომსახურების რისკების შეფასება დანერგვამდე, რაც განაპირობებს პოტენციური

რისკების გამოვლენასა და მათი მართვის მექანიზმების დანერგვას (ახალი რისკების შეფასების პროცესი).

საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების შემცირების მიზნით, პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფმა განსაზღვრა საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, ბიზნესის უწყვეტობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტები. ადგილობრივ დონეზე, პროკრედიტ ბანკი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის სისტემაში აერთიანებს, ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ კიბერ-უსაფრთხოების ჩარჩოს მოთხოვნებს. ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის რეგულარული კონტროლი არსებული პროცესებისა და პროცედურების ნაწილია. ბანკი რეგულარულად ახორციელებს საინფორმაციო აქტივების კლასიფიკაციასა და ატარებს საინფორმაციო აქტივებთან დაკავშირებით რისკების ყოველწლიურ შეფასებას. ბანკში დანერგილი ბიზნესის უწყვეტობის სისტემა უზრუნველყოფს, რომ პერსონალის ყველა წევრს გათვითცნობიერებული აქვს ეს რისკები, იდენტიფიცირებულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესები და განსაზღვრულია შესაბამისი რესურსები.

ინფორმაცია საოპერაციო დანაკარგების მოცულობის შესახებ		ლარში		
		31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
1	დანაკარგების მთლიანი მოცულობა	128,764	98,495	32,060
2	დანაკარგების მთლიანი მოცულობა, რომელიც აღემატება 10,000 ლარს	87,373	29,462	-
3	მოვლენების რაოდენობა, რომელთა დანაკარგიც აღემატება 10,000 ლარს	4	2	-
4	5 უმსხვილესი დანაკარგის საერთო მოცულობა	93,625	53,209	14,860

ცხრილი 11

**13 ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და კანონით დასჯადი სხვა ქმედებების შედეგად წარმოქმნილი რისკები**

ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია ბანკის ძირითადი ფუნქციაა. პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის და პროკრედიტ ბანკის ბიზნესის ეთიკა და ძლიერი კორპორაციული ფასეულობები ამ კუთხით მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პროკრედიტ ბანკი საქართველო ყველა თავის მომხმარებელთან ურთიერთობაში თანმიმდევრულად იყენებს პრინციპს "იცნობდე შენს კლიენტს" (KYC). გარდა ამისა, ადგილობრივი წესებისა და რეგულაციების დაცვასთან ერთად, პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფი და პროკრედიტ ბანკი ასრულებენ გერმანიის ფულის გათეთრების შესახებ კანონისა და ევროკავშირის დონეზე მოქმედ მოთხოვნებს.

ანგარიშებსა და ტრანზაქციებზე მუდმივად დაკვირვების მიზნით, ბანკი იყენებს სპეციალურ პროგრამებს საეჭვო საქმიანობისა და საეჭვო წყაროებიდან შემოსული ფულის გამოყენებით საქმიანი ურთიერთობების გამოსავლენად. სისტემა საეჭვო საქმიანობის შესახებ ატყობინებს ბანკის AML ოფიცერს, რომელიც შემდეგ იკვლევს შესაბამისი გარიგების ან საქმიანი ურთიერთობის ისტორიას.

ბანკის AML სისტემა უზრუნველყოფს, რომ:

- პროკრედიტ ჰოლდინგის AML გუნდი პროკრედიტ ჯგუფის მასშტაბით მოქმედებს როგორც ცენტრალური განყოფილება ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და თაღლითობის პრევენციისთვის. ჯგუფის პოლიტიკის ჩარჩოს უზრუნველყოფისა და სასწავლო ღონისძიებების გატარების გარდა, გუნდი ახორციელებს რეგულარულ კონტროლს პროკრედიტ ბანკებში ჯგუფის AML პოლიტიკის შესრულების მონიტორინგის მიზნით;
- ბანკს ჰყავს AML ოფიცერი, რომელიც დირექტორთა საბჭოს, ასევე პროკრედიტ ჰოლდინგში ჯგუფის AML ოფიცრის მიმართ რეგულარულ ანგარიშგებას აწარმოებს;
- ბანკი იყენებს მიდგომებს "იცნობდე შენს კლიენტს" და "იცნობდე შენს ბანკ-კორესპონდენტს" მისი კლიენტების კომპლექსურ შემოწმებასა და საკორესპონდენტო ურთიერთობებში;
- ჯგუფის AML-ი და ბანკი ყოველწლიურად აფასებენ პროკრედიტ ჯგუფში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკს სპეციალურად შემუშავებული რისკის მოდელის საფუძველზე; დამატებით ბანკი ყოველწლიურად ახორციელებს ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმთან დაკავშირებით ორგანიზაციული რისკების შეფასებას, ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად;
- ბანკის პერსონალს AML ტრენინგი უტარდება ბანკში მუშაობის დაწყებისთანავე, ხოლო შემდეგ - ტრენინგების გეგმის ფარგლებში;
- ბანკში არსებობს კლიენტებთან დაკავშირებული რისკების კლასიფიკაცია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების თავიდან ასაცილებლად და გამოიყენება სათანადო კომპლექსური შემოწმებისა და მონიტორინგის პროცედურები;
- პროკრედიტ ბანკის ყველა მომხმარებელი და თანხის მიმღები სკრინინგდება შესაბამისი საერთაშორისო სანქციებისა და ემბარგოების, ასევე შავი სიების ფართო ნაკრებისა და პოლიტიკურად დაუცველი პირების ეროვნული და შიდა სიების წინააღმდეგ (PEP).
- ბანკი იყენებს თანმიმდევრულ სტანდარტებს მონაცემებისა და ტრანზაქციების მონიტორინგისთვის და ითვალისწინებს საერთაშორისო სანქციებსა და ემბარგოებს.
- პროკრედიტ ბანკი თანამშრომლობს ქვეყანაში სისხლის სამართლის საგამომიებო ორგანოებთან. ყველა ქმედება, რომელიც იწვევს ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან ფინანსური დანაშაულის ეჭვს, ეცნობება პასუხისმგებელ სამართალდამცავ ორგანოებს, ასევე ჯგუფის AML ოფიცერს. ჯგუფის დონეზე, AML ოფიცერი თანამშრომლობს კრიმინალური გამოძიების და სამართალდამცავ ორგანოებთან გერმანიაში და მის ფარგლებს გარეთ.

## 14 კაპიტალის ადეკვატურობა

### 14.1 კაპიტალის მართვა

პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფისა და პროკრედიტ ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი პრინციპი არის მუდმივად კაპიტალის ადეკვატური დონის შენარჩუნება. ბანკი არასოდეს არ იღებს უფრო მეტ რისკს, ვიდრე კაპიტალს შეუძლია დაფაროს. ამ პრინციპის მონიტორინგი ხორციელდება სხვადასხვა მაჩვენებლების გამოყენებით, რისთვისაც განისაზღვრა ადრეული იდენტიფიცირების მაჩვენებლები და ლიმიტები. საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან ერთად, პროკრედიტ ბანკი ხელმძღვანელობს დამატებითი მაჩვენებლებით, რომლებიც მოიცავს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებს კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულების (CRR) მოთხოვნების შესაბამისად, ძირითადი პირველადი კაპიტალის (Tier 1) ლევერეჯის კოეფიციენტს კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულების (CRR) შესაბამისად და კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასებას.

კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია:

- საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- შიდა კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფა;
- ბანკში განსაზღვრულ კაპიტალის მოთხოვნებთან შესაბამისობა და საკმარისი კაპიტალის ბუფერების შექმნა ბანკის საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ბანკის გაჯანსაღების გეგმით დადგენილი საჭირო ბუფერების გათვალისწინებით;
- ბანკის მხარდაჭერა უწყვეტი განვითარების გეგმების განხორციელებაში.

პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფისთვის "პილარ 1"-ის მოთხოვნებს აწესებს და აკონტროლებს გერმანიის ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური დაწესებულება (BaFin) და სამეთვალყურეო კოლეჯი, გერმანიის საბანკო აქტის 8ა მუხლის შესაბამისად.

პროკრედიტ ბანკი, პირველ რიგში, ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოში, ბაზელის II და ბაზელის III-ის საფუძველზე შექმნილი ახალი კომბინირებული დებულება ძალაში შევიდა 2014 წელს. 2013 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება" (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N100/04 ბრძანება), რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება სამ პილარს, როგორც ეს განსაზღვრულია საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის, ევროკავშირის კაპიტალის მოთხოვნების შესახებ (EU) 575/2013 (CRR) დებულებისა და კაპიტალის მოთხოვნების შესახებ 2013/36/EUR (CRD IV) დირექტივის კაპიტალის ადეკვატურობის საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად.

კაპიტალის ადეკვატურობის კონსერვატული, სტრესულ ფაქტორებზე დაფუძნებული, პროაქტიული მართვა განაპირობებს პროკრედიტ ბანკის კაპიტალიზაციის მაღალ დონეს.

მოცემული რეპორტი დაფუძნებულია 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით შესრულებულ წლიურ ანგარიშგებებზე.

#### 14.2 პილარ 1-ისა და კომბინირებული ბუფერის მოთხოვნები

ეროვნული ბანკის "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების" მიხედვით ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალის და საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან უნდა იყოს 4.5%, 6% და 8%-ზე მეტი ან ტოლი. სს პროკრედიტ ბანკი ვალდებულია ფლობდეს საკუთარ ფულად სახსრებს, რაც ნებისმიერ დროს ზემოაღნიშნული კაპიტალის მოთხოვნებზე მეტი ან კაპიტალის მოთხოვნების თანაბარი უნდა იყოს.

დამატებით, ძირითადი პირველადი კაპიტალის მეშვეობით ბანკებს მოეთხოვებათ კაპიტალის ე.წ. კომბინირებული ბუფერების დაცვა, რომელიც მოიცავს კონსერვაციის, კონტრციკლურობისა და სისტემურობის ბუფერს. ამ მიზნით, კონსერვაციის ბუფერის განაკვეთად განისაზღვრა რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციების 2.5%, ხოლო კონტრციკლური ბუფერის განაკვეთად 0%. კონტრციკლური ბუფერი შეიძლება დაწესდეს რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 0%-დან 2.5%-ის შუალედის ფარგლებში. აღნიშნული გადაიხედება პერიოდულად, ფინანსური და მაკროეკონომიკური გარემოს საფუძველზე. სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკებისათვის მოხდა სისტემურობის ბუფერის შემოღებაც. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, პროკრედიტ ბანკი არ არის სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკი, შესაბამისად ბანკს არ მოეთხოვება სისტემურობის ბუფერის დაცვა.

#### 14.3 პილარ 2-ის მოთხოვნები

ბაზელ III-ის ჩარჩოს თანახმად, კომერციულმა ბანკებმა პილარ 2-ის ფარგლებში უნდა შეინარჩუნონ კაპიტალის ადეკვატური ბუფერები იმ რისკებისთვის, რასაც სათანადოდ არ მოიცავს პილარ 1. აღნიშნული ჩარჩოს ფორმალიზებისა და დანერგვის მიზნით, სებ-მა შეიმუშავა და დაამტკიცა "პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი".

პილარ 2-ის ჩარჩო განსაზღვრავს კაპიტალის არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის მოთხოვნას, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისათვის (როგორც სახელობითი კონცენტრაციის, ასევე სექტორული კონცენტრაციის რისკებისათვის), საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრულ წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერს და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში დაწესებულ წმინდა GRAPE (General Risk Assessment Process) ბუფერს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პილარ 2-ით გათვალისწინებული კაპიტალის ბუფერები პროპორციულად უნდა იყოს გათვალისწინებული კაპიტალის მოთხოვნებში (ძირითადი პირველადი კაპიტალი - 4,5%, პირველადი კაპიტალი - 6% და საზედამხედველო კაპიტალი - 8%). აქედან გამომდინარე, პილარ 2-ით გათვალისწინებული კაპიტალის 56% დაცული უნდა იყოს ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტებით, ხოლო 75% - პირველადი კაპიტალის ელემენტებით (ცხრილი 12).

		ძირითადი პირველადი კაპიტალი	პირველადი კაპიტალი	საზედამხედველო კაპიტალი
პილარ 1	ბაზელ III მინიმალური მოთხოვნები	4.50%	6.00%	8.00%
	კონსერვაციის ბუფერი	2.50%	2.50%	2.50%
	კონტრციკლური ბუფერი	[0%-2.5%]	[0%-2.5%]	[0%-2.5%]
	სისტემური რისკის ბუფერი	n%	n%	n%
პილარ 2	არაპეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი	n x (min)56%	n x (min)75%	n%
	საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი - სახელობითი	n x (min)56%	n x (min)75%	n%
	საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი - სექტორული	n x (min)56%	n x (min)75%	n%
	წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი	n x (min)56%	n x (min)75%	n%
	წმინდა GRAPE ბუფერი	n x (min)56%	n x (min)75%	n%

ცხრილი 12

მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, კომერციულ ბანკებს მიეცათ შესაბამისი ვადები, რომელიც პანდემიიდან გამომდინარე გახანგრძლივდა ეროვნული ბანკის მიერ (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი).

კაპიტალის მოთხოვნები სექტორული და სახელობითი კონცენტრაციის ბუფერისა და წმინდა GRAPE ბუფერისთვის	მარტი-2021	მარტი-2022	მარტი-2023
ძირითადი პირველადი კაპიტალი	30%	45%	56%
პირველადი კაპიტალი	40%	60%	75%
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	100%	100%	100%

ცხრილი 13

კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებში შესული ცვლილებების თანახმად, თუ კომერციული ბანკი საზედამხედველო კაპიტალის ახალ მოთხოვნებს დაარღვევს, ეს განიხილება უპირველესად კომბინირებული ბუფერის მოთხოვნის დარღვევად. ასეთ შემთხვევაში, "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ" განახლებული დებულების შესაბამისად, საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების, მათ შორის დივიდენდების, განაწილება აკრძალულია.

### 14.4 საზედამხებველო კაპიტალი

ბანკის საზედამხებველო კაპიტალის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ძირითადი პირველადი კაპიტალი (საზედამხებველო კორექტირების შემდეგ 274 მლნ ლარი). ბანკს არ გააჩნია დამატებითი პირველადი კაპიტალი. ძირითად პირველად კაპიტალს ემატება მეორადი კაპიტალი, რომელიც შედგება სუბორდინირებული სესხებისგან და საერთო რეზერვებისგან (30 მლნ ლარი).

საზედამხებველო კაპიტალი		ლარი
1	<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი საზედამხებველო კორექტირებამდე</b>	<b>281,510,985</b>
2	ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც ავსაყოფილებენ ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	112,482,805
3	დამატებითი სახსრები ჩვეულებრივ აქციებზე, რომლებიც ავსაყოფილებენ ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	72,117,570
4	აკუმულირებული სხვა სრული შემოსავალი	
5	სხვა რეზერვები	
6	გაუნაწილებელი მოგება (წარალი)	96,910,610
7	<b>ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხებველო კორექტირებები</b>	<b>7,564,693</b>
8	აქტივების გადაფასების რეზერვი	
9	მოგებასა და წარალში აქტივების არარეალიზებული გადაფასების შედეგად მიღებული აკუმულირებული მოგების ის ნაწილი, რომელიც აღემატება მოგებასა და წარალში არარეალიზებული გადაფასების შედეგად ასახულ აკუმულირებულ წარალს	1,370,121
10	არამატერიალური აქტივები	
11	აქტივების ვალსიფიკაციის შედეგად მიღებული რეზერვების უკმარისობა	
12	ინვესტიციები საკუთარ აქციებში	
13	კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების კაპიტალში ორმხრივი მფლობელობა	
14	ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი	
15	გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომლებზეც არ ვრცელდება ზღვრული დაქვითვის მეთოდი (დაავსებელი საგადასახადო დაოდეზოლოგის გამოყენებით)	
16	მნიშვნელოვანი ინვესტიციები კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებში (რომლებიც არაა ჩვეულებრივი აქციები)	6,194,572
17	აქტივების ფლობა და სხვა სახით 10%-ზე მეტი წილის ფლობა კომერციული დაწესებულებების სააქციო კაპიტალში	
18	მნიშვნელოვანი ინვესტიციები კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ჩვეულებრივ აქციებში (ნაწილი, რომელიც აღემატება 10%-იან ზღვარს)	-
19	ინვესტიციები კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების კაპიტალში 10%-ზე ნაკლები წილის მფლობელობით (ნაწილი, რომელიც აღემატება 10%-იან ზღვარს)	-
20	დროებითი სხვაობებით წარმომადგენელი გადავადებული საგადასახადო აქტივები (ნაწილი, რომელიც აღემატება 10%-იან ზღვარს, დაავსებელი საგადასახადო დაოდეზოლოგის გამოყენებით)	-
21	მნიშვნელოვანი ინვესტიციები და გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომლებიც აღემატება ძირითადი პირველადი კაპიტალის 15%-ს	-
22	ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხებველო დაქვითვები, რომლებიც გამოწვეულია დამატებითი პირველადი კაპიტალისა და მეორადი კაპიტალის უკმარისობით ინფლაციის დაქვითვისასთვის	-
23	<b>ძირითადი პირველადი კაპიტალი</b>	<b>273,946,292</b>
24	<b>დამატებითი პირველადი კაპიტალი საზედამხებველო კორექტირებამდე</b>	<b>-</b>
25	ინსტრუმენტები, რომლებიც ავსაყოფილებენ დამატებითი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	-
26	მათ შორის, ვალსიფიკირებული კაპიტალი შეესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით	-
27	მათ შორის, ვალსიფიკირებული ვალდებულებად შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით	-
28	დამატებითი სახსრები ინსტრუმენტებზე, რომლებიც ავსაყოფილებენ დამატებითი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	-
29	<b>დამატებითი პირველადი კაპიტალის საზედამხებველო კორექტირებები</b>	<b>-</b>
30	ინვესტიციები საკუთარ აქციებში, რომლებიც ავსაყოფილებენ დამატებითი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	-
31	დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებში გვარედინი მფლობელობა	-
32	მნიშვნელოვანი ინვესტიციები კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებში (რომლებიც არაა ჩვეულებრივი აქციები)	-
33	ინვესტიციები კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების კაპიტალში 10%-ზე ნაკლები წილის მფლობელობით (ნაწილი, რომელიც აღემატება 10%-იან ზღვარს)	-
34	დამატებითი პირველადი კაპიტალის საზედამხებველო დაქვითვები, რომლებიც გამოწვეულია მეორადი კაპიტალის უკმარისობით ინფლაციის დაქვითვისასთვის	-
35	<b>დამატებითი პირველადი კაპიტალი</b>	<b>-</b>
36	<b>მეორადი კაპიტალი საზედამხებველო კორექტირებამდე</b>	<b>29,672,669</b>
37	ინსტრუმენტები, რომლებიც ავსაყოფილებენ მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს	14,422,000
38	დამატებითი სახსრები ინსტრუმენტებზე, რომლებიც ავსაყოფილებენ მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს	
39	საერთო რეზერვები საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების მქონე 1.25%-ის ოდენობით	15,250,669
40	<b>მეორადი კაპიტალის საზედამხებველო კორექტირებები</b>	<b>-</b>
41	ინვესტიციები საკუთარ აქციებში, რომლებიც ავსაყოფილებენ მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს	-
42	მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტებში ორმხრივი მფლობელობა	-
43	მნიშვნელოვანი ინვესტიციები კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტებში (რომლებიც არაა ჩვეულებრივი აქციები)	-
44	ინვესტიციები კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების კაპიტალში 10%-ზე ნაკლები წილის მფლობელობით (ნაწილი, რომელიც აღემატება 10%-იან ზღვარს)	-
45	<b>მეორადი კაპიტალი</b>	<b>29,672,669</b>

ცხრილი 14



ძირითადი პირველადი კაპიტალი ექვემდებარება საზედამხედველო კორექტირებებს. ბანკის პირველადი კაპიტალიდან იქვეითება არამატერიალური აქტივები და ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში (აქციების 10%-ზე მეტი წილის შემთხვევაში).

საერთო რეზერვების მოცულობა, რომელიც გამოიყენება მეორადი კაპიტალის დათვლაში, ლიმიტირებულია საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების 1.25%-ის ოდენობით. ბანკის საერთო რეზერვი 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით აღემატება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების 1.25%-ს, რაც ნიშნავს იმას, რომ 15,3 მლნ ლარი, რომელიც შედის მეორად კაპიტალში, წარმოადგენს საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების 1.25%-ს.

ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია საბალანსო უწყისისა და საზედამხედველო კაპიტალის ელემენტებს შორის კავშირი.

საბალანსო უწყისისა და საზედამხედველო კაპიტალის ელემენტებს შორის კავშირები		ლარში	
N	სტანდარტიზებული საზედამხედველო ანგარიშების საბალანსო ელემენტები	საბალანსო ღირებულება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში ადვილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით	კავშირი Capital-ის ცხრილთან
1	ნაღდი ფული	37,622,540	
2	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	266,225,588	
3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	144,498,767	
4	ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	0	
5	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	82,467,907	
6.1	მოლიანი სესხები	1,150,714,387	
6.2	მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-39,857,408	
6.2.1	მათ შორის სესხების შესაძლო დანაკარგების საერთო რეზერვი	-15,250,669	ცხრილი 9 (Capital), N39
6.2.2	მათ შორის COVID 19-თან დაკავშირებული რეზერვი	0	
6	წმინდა სესხები	1,110,856,978	
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	5,286,603	
8	დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	161,370	
9	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	6,346,165	
9.1	მათ შორის 10 %-იანი წილობრივი მფლობელობა ფინანსურ დაწესებულებებში	6,194,572	ცხრილი 9 (Capital), N17
9.2	მათ შორის მნიშვნელოვანი ინვესტიციები, რომლებიც შეზღუდულად აღიარდებიან მათ შორის 10%-ზე ნაკლები წილობრივი მფლობელობა, რომელიც შეზღუდულად აღიარდებიან		
9.3			
10	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	47,441,125	
10.1	მათ შორის არამატერიალური აქტივები	1,370,121	ცხრილი 9 (Capital), N10
11	სხვა აქტივები	25,853,864	
12	<b>მოლიანი აქტივები</b>	<b>1,726,760,909</b>	
13	ბანკების დეპოზიტები	0	
14	მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)	261,379,620	
15	მოთხოვნამდე დეპოზიტები	413,758,694	
16	ვადიანი დეპოზიტები	297,442,394	
17	საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	0	
18	ნასესხები სახსრები	420,902,671	
19	დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	9,156,633	
20	სხვა ვალდებულებები	28,187,912	
20.1	მათ შორის საერთო რეზერვები სხვა ვალდებულებებზე	1,271,719	
21	სუბორდინირებული ვალდებულებები	14,422,000	
21.1	მათ შორის მეორად კაპიტალში ჩასათვლილი ინსტრუმენტები	14,422,000	ცხრილი 9 (Capital), N37
22	<b>მოლიანი ვალდებულებები</b>	<b>1,445,249,924</b>	
23	ჩვეულებრივი აქციები	112,482,805	ცხრილი 9 (Capital), N2
24	პრივილეგირებული აქციები	0	
25	მინუს: გამოსყიდული აქციები	0	
26	სემსისო კაპიტალი	72,117,570	ცხრილი 9 (Capital), N3
27	საერთო რეზერვები	0	
28	გაუნაწილებელი მოგება	96,910,610	ცხრილი 9 (Capital), N6
29	აქტივების გადაფასების რეზერვი	0	
30	<b>სულ სააქციო კაპიტალი</b>	<b>281,510,985</b>	

ცხრილი 15

### 14.5 რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები

სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები არის საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების ჯამი.

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები მოიცავს საბალანსო და ბალანსგარეშე პოზიციებს და კონტრაგენტთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს.

ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია აქტივებსა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ საბალანსო ელემენტებს შორის კავშირები.

**აქტივებსა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ საბალანსო ელემენტებს შორის კავშირები** **ლარი**

	სტანდარტიზებული სახედამხედველო ანგარიშების საბალანსო ელემენტები	საბალანსო ღირებულებები ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	საბალანსო ღირებულებები	
			ელემენტი, რომელზეც არ ვრცელდება კაპიტალის მოთხოვნა ან ექვემდებარება კაპიტალიდან დაქვითვას	საკრედიტო რისკით შეწონვას დაქვემდებარებული საბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება
1	წალდი ფული	37,622,540		37,622,540
2	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	266,225,588	0	266,225,588
3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	144,498,767		144,498,767
4	ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	0		
5	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	82,467,907		82,467,907
6.1	მთლიანი სესხები	1,150,714,387		1,150,714,387
6.2	მიწუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-39,857,408		-39,857,408
6	წმინდა სესხები	1,110,856,978		1,110,856,978
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	5,286,603		5,286,603
8	დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	161,370		161,370
9	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	6,346,165	6,194,572	151,593
10	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	47,441,125	1,370,121	46,071,004
11	სხვა აქტივები	25,853,864		25,853,864
	<b>საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული საბალანსო ელემენტების ჯამური ღირებულება კორექტირებამდე</b>	<b>1,726,760,909</b>	<b>7,564,693</b>	<b>1,719,196,215</b>

ცხრილი 16

6.2 მილიონი ლარი წარმოადგენს სააქციო კაპიტალში, კერძოდ, შპს "პროკრედიტ ფროფერთი"-ისა და სს "კრედიტინფო საქართველო"-ს სააქციო კაპიტალში ინვესტიციებს, რომელთაგან 6.1 მლნ ლარი არის შპს "პროკრედიტ ფროფერთი"-ში განხორციელებული ინვესტიცია (ბანკი ფლობს მისი აქციების 100%). ეს თანხა გამოიქვითება პირველადი საერთო კაპიტალიდან სახედამხედველო კორექტირების დროს. შესაბამისად, ეს თანხა არ ექვემდებარება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას.

გარდა ამისა, არამატერიალური აქტივების მოცულობა, რომელიც, ასევე, გამოიქვითება პირველადი საერთო კაპიტალიდან, არ მონაწილეობს საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვაში.

გარესაბალანსო ელემენტების რისკის პოზიციის ღირებულება შემცირებულია სპეციალური რეზერვით - საკრედიტო კონვერსიის ფაქტორით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღწერილია გარესაბალანსო მუხლები სებ-ის სტანდარტიზებული ანგარიშების მიხედვით:

ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისი

ლარი

N	ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისი	საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესაბამისი პერიოდი		
		ლარი	ევრო	სულ	ლარი	ევრო	სულ
1	<b>პირობითი და სახელმწიფო ვალდებულებები</b>	84,693,325	66,994,523	151,687,849	99,663,291	78,848,707	178,511,998
1.1	გაცემული გარანტიები	47,776,575	15,844,155	63,620,730	56,462,021	17,184,478	73,646,499
1.2	საკრედიტოები	0	194,339	194,339	0	633,253	633,253
1.3	კლიენტების მიერ აუდიტისგარეშე ნაშთები	36,916,750	50,956,030	87,872,780	43,201,270	61,030,975	104,232,245
1.4	სხვა პირობითი ვალდებულებები	0	0	0	0	0	0
2	<b>ბანკის მიმართ არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით მიღებული გარანტიები</b>	<b>48,047,858</b>	<b>356,835,727</b>	<b>404,883,585</b>	<b>48,047,858</b>	<b>464,095,715</b>	<b>512,143,573</b>
3	<b>ბანკის მიმართ არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით დატვირთული ბანკის</b>	<b>7,768,000</b>	<b>0</b>	<b>7,768,000</b>	<b>11,252,000</b>	<b>0</b>	<b>11,252,000</b>
3.1	ბანკის ფინანსური აქტივები	7,768,000	0	7,768,000	11,252,000	0	11,252,000
3.2	ბანკის არაფინანსური აქტივები	0	0	0	0	0	0
4	<b>ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით მიღებული გარანტიები</b>	<b>402,778,122</b>	<b>802,921,301</b>	<b>1,205,699,422</b>	<b>404,735,835</b>	<b>725,515,585</b>	<b>1,130,251,420</b>
4.1	თავდებობა, სოლიდარული პასუხისმგებლობა	345,373,612	606,944,620	952,318,232	344,228,860	637,302,752	981,531,612
4.2	გარანტია	57,404,510	195,976,681	253,381,191	60,506,975	88,212,833	148,719,808
5	<b>მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ბანკის სასარგებლოდ დატვირთული აქტივები</b>	<b>357,971,740</b>	<b>971,260,273</b>	<b>1,329,232,014</b>	<b>371,459,887</b>	<b>964,268,731</b>	<b>1,335,728,618</b>
5.1	ფულადი სახსრები	10,871,238	3,194,587	14,065,825	12,148,306	1,997,394	14,145,700
5.2	მეორეხარისხიანი ვალდებულებები და ქვები	0	0	0	0	0	0
5.3	უმრავლესობის უმრავლესობის	305,548,675	914,604,737	1,220,153,412	316,749,750	901,836,092	1,218,585,842
5.3.1	საგადასახადო	66,932,024	211,439,386	278,371,410	91,299,802	246,567,186	337,866,988
5.3.2	კომერციული	78,325,053	415,155,661	493,480,714	66,662,373	329,284,736	395,947,108
5.3.3	კომპლექსური ტიპის უმრავლესობის	0	0	0	0	0	0
5.3.4	მისწრაფი ნაკვეთები ქვების ნაკვეთების	58,920,997	111,727,849	170,648,846	71,957,521	143,469,407	215,426,928
5.3.5	სხვა	101,370,600	176,281,842	277,652,442	86,830,054	182,514,763	269,344,817
5.4	მომრავლე ქონება	35,309,792	50,347,310	85,657,101	37,938,371	53,923,022	91,861,393
5.5	წილის გირავნობა	6,242,036	3,113,639	9,355,675	4,623,460	5,590,876	10,214,336
5.6	ფასიანი ქაღალდები	0	0	0	0	921,347	921,347
5.7	სხვა	0	0	0	0	0	0
6	<b>წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>171,987,329</b>	<b>171,987,329</b>
6.1	სავალუტო ვერსიის დაცემორებული კონტრაქტების (გარდა ოფციონებისა) ფარგლებში მისაღები თანხები	0	0	0	0	86,732,800	86,732,800
6.2	სავალუტო ვერსიის დაცემორებული კონტრაქტების (გარდა ოფციონებისა) ფარგლებში გასაცემი თანხები	0	0	0	0	85,254,529	85,254,529
6.3	საპროცენტო განაკვეთთან დაცემორებული კონტრაქტების (გარდა ოფციონებისა) მართვითი თანხა	0	0	0	0	0	0
6.4	გაყიდული ოფციონები	0	0	0	0	0	0
6.5	ნაყიდი ოფციონები	0	0	0	0	0	0
6.6	სხვა წარმოებული ინსტრუმენტების ფარგლებში ბანკის პოტენციური მოთხოვნის ნომინალური ღირებულება	0	0	0	0	0	0
6.7	სხვა წარმოებული ინსტრუმენტების ფარგლებში ბანკის მიმართ პოტენციური მოთხოვნის ნომინალური ღირებულება	0	0	0	0	0	0
7	<b>ბანკის ბალანსზე აღუძარებული საკრედიტო</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>
7.1	ბოლო 3 თვის განმავლობაში ბალანსზე აღუძარებული საკრედიტო მოთხოვნის მიხედვით	322,386	1,603,037	1,925,424	405,222	2,282,767	2,687,990
7.2	ბალანსიდან ჩამოწერილი მისაღები პროცენტები და აარიზები	162,759	886,132	1,048,892	111,500	393,035	504,536
7.3	ბალანსიდან ჩამოწერილი საკრედიტო მოთხოვნის მიხედვით	5,239,116	15,988,597	21,227,713	4,704,361	24,413,668	29,118,030
7.4	ბალანსიდან ჩამოწერილი და ბალანსზე აღუძარებული მისაღები პროცენტები და აარიზები	2,545,102	5,136,549	7,681,652	2,107,777	8,336,634	10,444,411
8	<b>შუქცევადი საოპერაციო ივარა</b>	<b>5,216</b>	<b>222,062</b>	<b>227,278</b>	<b>5,500</b>	<b>252,433</b>	<b>257,933</b>
8.1	ვადის გარეშე ხელშეკრულების ფარგლებში	0	0	0	0	0	0
8.2	1 წლამდე ვადით	5,216	222,062	227,278	5,500	252,433	257,933
8.3	1-დან 2 წლამდე ვადით	0	0	0	0	0	0
8.4	2-დან 3 წლამდე ვადით	0	0	0	0	0	0
8.5	3-დან 4 წლამდე ვადით	0	0	0	0	0	0
8.6	4-დან 5 წლამდე ვადით	0	0	0	0	0	0
8.7	5 წელზე მეტი ვადით	0	0	0	0	0	0
9	<b>კაპიტალური დანახარებების პოტენციური სახელმწიფო ვალდებულება</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>

ცხრილი 17

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია სახელმწიფო ანგარიშგებისთვის გამოყენებული სტანდარტიზებული საბალანსო ელემენტების ღირებულებებსა და კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლის მიზნებისთვის გამოყენებულ პოზიციებს შორის განსხვავებები:

საბალანსო ელემენტების ღირებულება და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ რისკის პოზიციებს შორის განსხვავებები		ლარი
1	<b>საბალანსო ელემენტების ჯამური ნომინალური ღირებულება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნებისთვის კორექტირებამდე</b>	1,719,196,215
2.1	საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული გარესაბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება	151,664,935
2.2	კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული გარესაბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება	0
3	<b>საბალანსო და არასაბალანსო ელემენტების ჯამური ნომინალური ღირებულება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნებისთვის კორექტირებამდე</b>	1,870,861,150
4	კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის გაუფასურებასთან დაკავშირებული საზედამხედველო კორექტირებების ეფექტი	19,616,910
5.1	საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვასთან დაკავშირებული გარესაბალანსო ელემენტების საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის ეფექტი	-78,201,608
5.2	კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვასთან დაკავშირებული გარესაბალანსო ელემენტების საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის ეფექტი (ცხრილი CCR)	0
6	სხვა კორექტირებების ეფექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) *	
7	<b>სულ საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული რისკის პოზიციები</b>	1,812,276,452

ცხრილი 18

გარესაბალანსო პოზიციების ნომინალური ღირებულება, კონტრაგენტთან დაკავშირებული გარესაბალანსო ელემენტების ნომინალური ღირებულება და საერთო რეზერვი ემატება საბალანსო ელემენტების მუხლების ნომინალურ ღირებულებას. სულ საკრედიტო რისკის შეწონვას დაქვემდებარებული რისკის პოზიციების მისაღებად სრულდება გარესაბალანსო და კონტრაგენტთან დაკავშირებული ელემენტების საკრედიტო კონვერსიის ფაქტორის გამოყენებით კორექტირება.

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების თანხების დასათვლელად ბანკი იყენებს სტანდარტიზებულ მიდგომას. თითოეული რისკის პოზიცია მიეკუთვნება რისკის პოზიციის გარკვეულ კლასს. რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების დასათვლელად ხდება ყველა რისკის პოზიციისთვის წონის მინიჭება საქართველოს ეროვნული ბანკის „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“ დებულების შესაბამისად (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №100/04).

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მიტიგაციამდე გამოთვლილია რისკის პოზიციის კლასის მიხედვით. რისკის წონა დამოკიდებულია რისკის პოზიციის კლასზე.

მე-19 ცხრილში ნაჩვენებია ბანკის მთლიანი საბალანსო და გარესაბალანსო ღირებულებების განაწილება რისკის პოზიციის კლასებისა და შესაბამისი წონების მიხედვით.

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (საბაღანსო და კრედიტ კონვერსიის დაქტორის გათვალისწინებით გარესაბაღანსო კლემენტები)

ლარი

კრესკის წონები	0%		20%		35%		50%		75%		100%		150%		250%		საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის შიტირეციაში
	საბაღანსო	გარესაბაღანსო	საბაღანსო	გარესაბაღანსო	საბაღანსო	გარესაბაღანსო	საბაღანსო	გარესაბაღანსო	საბაღანსო	გარესაბაღანსო	საბაღანსო	გარესაბაღანსო	საბაღანსო	გარესაბაღანსო			
აქტივების კლასები																	
1 უპირობო და პირობითი მოთხოვნები ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ	148,818,086	-	-	-	-	-	-	-	-	-	199,982,861	-	-	-	-	-	199,982,861
2 უპირობო და პირობითი მოთხოვნები რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
3 უპირობო და პირობითი მოთხოვნები საჯარო დაწესებულებების მიმართ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
4 უპირობო და პირობითი მოთხოვნები მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიმართ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
5 უპირობო და პირობითი მოთხოვნები საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
6 უპირობო და პირობითი მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ	-	-	141,826,607	-	-	-	2,629,942	-	-	-	305,029	-	154,986	-	-	-	30,217,800
7 უპირობო და პირობითი მოთხოვნები კორპორატიული კლიენტების მიმართ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	745,109,942	73,463,327	-	-	-	-	818,573,269
8 უპირობო და პირობითი საცალო მოთხოვნები	-	-	-	-	-	-	-	-	357,813,976	-	-	-	-	-	-	-	268,360,482
9 უპირობო და პირობითი მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ქონების იპოთეკით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
10 ვადაგადადებული სესხები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3,662,923	-	-	-	-	-	3,662,923
11 მაღალი საზედამბედებლო რისკის კატეგორიაში შემავალი ერთეულები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	28,950,454	-	4,372,434	-	54,356,767
12 მოლვეადიანი მოთხოვნები კორპორატიული კლიენტების მიმართ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
13 მოთხოვნები კოლექტიური ინვესტიციების სახით	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
14 სხვა ერთეულები	37,622,540	-	-	-	-	-	-	-	-	-	67,563,345	-	-	-	-	-	67,563,345
<b>სულ</b>	<b>186,440,626</b>	<b>-</b>	<b>141,826,607</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>2,629,942</b>	<b>-</b>	<b>357,813,976</b>	<b>-</b>	<b>1,016,624,099</b>	<b>73,463,327</b>	<b>29,105,440</b>	<b>-</b>	<b>4,372,434</b>	<b>-</b>	<b>1,442,717,447</b>

ცხრილი 19

საკრედიტო პორტფელის უდიდეს ნაწილს მიენიჭა რისკის პოზიციის კლასი - "უპირობო და პირობითი მოთხოვნები კორპორატიული კლიენტების მიმართ", რომლის რისკის წონაა 100%, რადგან ბანკის ბიზნეს ოპერაციები ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტებზე. მოცემული კლასი მოიცავს გარანტიებსა და აკრედიტივებს, ასევე საკრედიტო ხაზების და ბიზნეს ოვერდრაფტების გამოუყენებელ ნაწილს.

მეორე უმსხვილესი კატეგორიაა რისკის პოზიციის კლასი - "უპირობო და პირობითი საცალო მოთხოვნები", რომლის რისკის წონაა 75%.

კლასი - "უპირობო და პირობითი მოთხოვნები ცენტრალური ხელისუფლებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ" - მოიცავს როგორც საბალანსო, ისე გარესაბალანსო პოზიციებს.

ცხრილში, ასევე, ნაჩვენებია, რომ კლას „უპირობო და პირობითი მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ“ უმეტეს ნაწილს მინიჭებული აქვს 20%-იანი რისკის წონა. რისკის წონა ზემოაღნიშნულ კლასში დამოკიდებულია შესაბამისი კომერციული ბანკის სშგი-ს საკრედიტო შეფასებაზე. ბანკი ათავსებს ჭარბ ლიკვიდურობას მაღალი საკრედიტო რეიტინგების მქონე ბანკებში, შესაბამისად ამ კლასის ღირებულების უდიდეს ნაწილს მიენიჭა დაბალი წონა (20%).

კლასის "სხვა ერთეულები" (40 მლნ ლარი 105 მლნ ლარიდან) ძირითად ნაწილს წარმოადგენს ძირითადი საშუალებები.

სტანდარტიზებული მიდომა - საკრედიტო რისკის მიტიგაცია

აქტივების კლასები	საბალანსო ელემენტები - რისკის პოზიციების ღირებულება	გარესაბალანსო ელემენტები		რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საკრედიტო რისკის მიტიგაციამდე	რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტის	რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების სიმკვრივე* f=e/(a+c)
		გარესაბალანსო ელემენტები წომიანლური ღირებულება	გარესაბალანსო ელემენტები კონვერსიის ფაქტორის გათვალისწინებით			
1 უპირობო და პირობითი მოთხოვნები ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ	348,800,946			199,982,861	62,973,861	18%
2 უპირობო და პირობითი მოთხოვნები რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი უპირობო და პირობითი მოთხოვნები საჯარო დაწესებულებების მიმართ	0			0	0	0
3 უპირობო და პირობითი მოთხოვნები მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიმართ	0			0	0	0
4 უპირობო და პირობითი მოთხოვნები საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ	0			0	0	0
5 უპირობო და პირობითი მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ	144,916,563			30,217,800	30,217,800	21%
6 უპირობო და პირობითი მოთხოვნები კორპორატიული კლიენტების მიმართ	745,109,942	151,664,935	73,463,327	818,573,269	740,642,241	90%
7 უპირობო და პირობითი მოთხოვნები საცალო მოთხოვნები	357,813,976			268,360,482	261,271,313	73%
8 უპირობო და პირობითი მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ქონების იპოთეკით	0			0	0	0
9 ვადაგადაცილებული სესხები	3,662,923			3,662,923	3,662,923	100%
10 მაღალი საზედამხებდელი რისკის კატეგორიაში შემავალი ერთეულები	33,322,889			54,356,767	53,722,029	161%
11 მოკლევადიანი მოთხოვნები კორპორატიული კლიენტების მიმართ	0			0	0	0
12 მოთხოვნები კოლექტიური ინვესტიციების სახით	0			0	0	0
13 სხვა ერთეულები	105,185,885			67,563,345	67,563,345	64%
<b>სულ</b>	<b>1,738,813,125</b>	<b>151,664,935</b>	<b>73,463,327</b>	<b>1,442,717,447</b>	<b>1,220,053,512</b>	<b>67%</b>

ცხრილი 20

### 14.6 საკრედიტო რისკის მიტიგაციის მექანიზმები

საკრედიტო რისკისთვის კაპიტალის მოთხოვნის გაანგარიშებისას, ბანკი საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით შემდეგ ინსტრუმენტებს იყენებს:

- გარანტია

- დეპოზიტით უზრუნველყოფა

ბანკი იყენებს მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოდან (MIGA) მიღებულ გარანტიას. მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია და კლასიფიცირდება, როგორც მრავალმხრივი განვითარების ბანკი. სააგენტოს მიზანია პირდაპირი ინვესტიციების ხელშეწყობა განვითარებად ქვეყნებში, რასაც ის ახორციელებს გარანტიების შეთავაზებით, პოლიტიკური რისკებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად. მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს რისკის წონა არის 0%, საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების შესაბამისად. გარანტიის თანხა, რომელიც პირველად განისაზღვრა 2015 წლის ნოემბერში (ყოველწლიურად გადაიხედება) და რომლის მიზანია საკრედიტო რისკების მიტიგაცია, შეადგენს 47.5 მლნ ევროს (137 მლნ ლარი). ბანკი ამ გარანტიას იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ აშშ დოლარსა და ევროში დენომინირებული სავალდებულო რეზერვების მიმართ.

2018 წლის ნოემბრიდან, ბანკი იყენებს InnovFin-ის (ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA)) საგარანტიო ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების მოცულობა შემცირდა 84 მილიონი ლარით. ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი გარანტია განკუთვნილია შერჩეული ფინანსური ინსტიტუტებისთვის და უზრუნველყოფს მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხების ვადაგადაცილებული თანხების 50-80% (90 დღემდე ვადაგადაცილებული სესხის ძირითადი თანხა და დარიცხულ საპროცენტო სარგებელი, დაფარვების გამოკლებით).

2015 წლის ნოემბრიდან, უზრუნველყოფის სახით ასევე გამოიყენება დეპოზიტები, რაც ამცირებს განსაკუთრებით კლიენტთა სესხებისა და გარანტიების საბალანსო და გარესაბალანსო პოზიციებს (ქვემოთ ცხრილში იხილეთ პოზიციები: კორპორატიული სესხები, საცალო სესხები და გარანტიები). დეპოზიტით მიტიგაციის ძირითადი კრიტერიუმებია:

- დეპოზიტის ვალუტა უნდა ემთხვეოდეს სესხის/გარანტიის ვალუტას;
- მიტიგაცია ითვალისწინებს მხოლოდ იმ მოცულობას, რომელიც ფულადი გირაოთი არის უზრუნველყოფილი.

საკრედიტო რისკის მიტიგაციის კონცენტრაცია დაბალია. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მიტიგაციის მოცულობა დაახლოებით 222 მლნ ლარს შეადგენდა, რაც სულ საბალანსო და გარესაბალანსო რისკით შეწონილი აქტივების (მიტიგაციამდე) 15%-ის ექვივალენტია.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია გამოყენებული მიტიგაციის ტიპები რისკის კლასების მიხედვით:





კონტრაგენტის საკრედიტო რისკი უკავშირდება ტრანზაქციის განხორციელებამდე კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკს. ბანკი სვოპ ტრანზაქციებს ძირითადად ახორციელებს პროკრედიტ ჰოლდინგის შვილობილ ბანკთან - პროკრედიტ ბანკ გერმანიასთან, თუმცა 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით ბანკს აქტიური სვოპი არ ჰქონია.

**კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები** ლარი

	ნომინალური ღირებულება	პროცენტი	რისკის პოზიციების ღირებულება	0%	20%	35%	50%	75%	100%	150%	250%	კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
<b>1</b>	<b>სავალუტო კურსთან დაკავშირებული კონტრაქტები</b>		0	0	0	0	0	0	0	0	0	0
1.1	კონტრაქტები 1 წელზე ნაკლები ვადით	2.0%	0									0
1.2	კონტრაქტები 1-დან 2 წლამდე ვადით	5.0%	0									0
1.3	კონტრაქტები 2-დან 3 წლამდე ვადით	8.0%	0									0
1.4	კონტრაქტები 3-დან 4 წლამდე ვადით	11.0%	0									0
1.5	კონტრაქტები 4-დან 5 წლამდე ვადით	14.0%	0									0
1.6	კონტრაქტები 5 წელზე მეტი ვადით		0									0
<b>2</b>	<b>საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული კონტრაქტები</b>		0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2.1	კონტრაქტები 1 წელზე ნაკლები ვადით	0.5%	0									0
2.2	კონტრაქტები 1-დან 2 წლამდე ვადით	1.0%	0									0
2.3	კონტრაქტები 2-დან 3 წლამდე ვადით	2.0%	0									0
2.4	კონტრაქტები 3-დან 4 წლამდე ვადით	3.0%	0									0
2.5	კონტრაქტები 4-დან 5 წლამდე ვადით	4.0%	0									0
2.6	კონტრაქტები 5 წელზე მეტი ვადით		0									0
<b>3</b>	<b>სულ</b>		0	0	0	0	0	0	0	0	0	-

ცხრილი 22

საბაზრო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული რისკის პოზიცია უდრის კრებსით საერთო ღია სავალუტო პოზიციას. ბანკის სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკის შესაბამისად, ბანკი არ ახორციელებს სპეკულაციურ ტრანზაქციებს და მაქსიმალურად ცდილობს შეინარჩუნოს ღია სავალუტო პოზიცია მკაცრი შიდა ლიმიტების ფარგლებში.

ბანკი ვალდებულია, შეინარჩუნოს საოპერაციო რისკებისთვის კაპიტალის მინიმალური დონე. საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების გაანგარიშებისთვის ბანკი იყენებს ძირითადი ინდიკატორის მეთოდს.

**ინფორმაცია საოპერაციო რისკების ძირითადი (საბაზისო) ინდიკატორის მეთოდის მიზნებისათვის გამოყენებულ შემოსავლებზე** ლარი

	2022	2021	2020	წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამის საშუალო მარჯვენებელი პოლო სამი წლის მანძილზე	საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
1	წმინდა საპროცენტო შემოსავლები	80,039,633	74,612,576	57,015,160	
2	მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები	16,944,144	16,857,593	22,265,963	
3	მინუს: ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)	217,200	572,714	1,487,646	
<b>4</b>	<b>მთლიანი შემოსავალი (1+2-3)</b>	<b>96,766,578</b>	<b>90,897,455</b>	<b>77,793,477</b>	<b>88,485,837</b>
					<b>165,910,944</b>

ცხრილი 23

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ღირებულება მიტიგაციის შემდეგ:

**რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები**

N		ლარში	
		4Q-2022	3Q-2022
1	საკრედიტო რისკი მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	1,220,053,512	1,240,422,043
1.1	საბალანსო ელემენტები	1,147,672,094	1,170,582,821
1.1.1	მათ შორის: ზღვრული დაქვითვის მეთოდს დაქვემდებარებული რისკის პოზიციები, რომლებიც არ იქვეთება კაპიტალიდან (რომლებიც იწონება 250%-ში)		
1.2	გარესაბალანსო ელემენტები	72,381,418	69,725,814
1.3	კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	0	113,408
2	საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	12,936,294	17,005,977
3	საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	165,910,944	151,987,467
4	<b>სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები</b>	<b>1,398,900,750</b>	<b>1,409,415,488</b>

ცხრილი 24

### 14.7 ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებულ ანგარიშგებას შორის კავშირი

ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებულ ანგარიშგებას შორის კავშირი ლარი '000

აქტივები (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო ღირებულებები	საბალანსო ღირებულებები ფასს-ის მიხედვით საზედამხედველო მიზნებისთვის გამოყენებული კონსოლიდაციის დონეზე (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	საბალანსო ღირებულებები ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	საბალანსო ღირებულებების გადაყვანა სტანდარტიზებული საზედამხედველო ანგარიშგების ფორმატში													
				1	2	3	4	5	6.1	6.2	6	7	8	9	10	11	12
				ნაღდი ფული	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	ფასიანი ქაღალდები ფილიალური ოპერაციებისთვის	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	მოლოანი სესხები	მოიხსნის მესამე დანაკარგების რეზერვი	წინდა სესხები	დარტებული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	დასაკეთებელი უპირი და მომჩივი ქონება	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	პირთაგან საშუალებები და არამატერიალური აქტივები	სხვა აქტივები	მოლოანი აქტივები
ფულადი სახსრები და სხვა არსებული ნაშთები	162,437	162,437	163,474	37,623	66,316	59,295	-									180	163,474
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები სხვაში	199,513	199,513	199,910		199,910												199,910
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	82,486	82,486	82,515					82,468									82,515
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	140	140	152													152	152
ინვესტიციები მკვეთრად საწარმოებში	2,547	2,547	95													95	95
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში	-	6,100	6,100													6,100	6,100
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	84,713	84,712	84,766			84,717											84,766
მოგება-ზარალი ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები	3	3	9,291														9,291
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,126,068	1,126,068	1,115,987						1,150,714	- 39,857	1,110,857	5,130					1,115,987
მიმდინარე სავადასახადო აქტივი	3,302	3,302	10,414													10,414	10,414
საინვესტიციო ქონება	4,382	4,372	4,372												4,372		4,372
არამატერიალური აქტივები	1,370	1,370	1,370												1,370		1,370
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	40,268	40,267	40,267												40,267		40,267
აქტივების გამოყენების უფლება	1,431	1,431	1,431												1,431		1,431
გადავადებული სავადასახადო აქტივი	-	-	328													328	328
სხვა აქტივები	5,961	5,470	6,289			487									161	5,641	6,289
<b>მოლოანი აქტივები</b>	<b>1,714,621</b>	<b>1,720,219</b>	<b>1,726,761</b>	<b>37,623</b>	<b>266,226</b>	<b>144,499</b>	<b>-</b>	<b>82,468</b>	<b>1,150,714</b>	<b>- 39,857</b>	<b>1,110,857</b>	<b>5,287</b>	<b>161</b>	<b>6,346</b>	<b>47,441</b>	<b>25,854</b>	<b>1,726,761</b>
ვალდებულებები (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო ღირებულებები	საბალანსო ღირებულებები ფასს-ის მიხედვით საზედამხედველო მიზნებისთვის გამოყენებული კონსოლიდაციის დონეზე (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	საბალანსო ღირებულებები ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	საბალანსო ღირებულებების გადაყვანა სტანდარტიზებული საზედამხედველო ანგარიშგების ფორმატში													
				13	14	15	16	17	18	19	20	21	22				
				ბანკების დეპოზიტები	მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)	მოთხოვნაზე დეპოზიტები	ვადიანი დეპოზიტები	საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	ნასესხები სახსრები	დარტებული გადასახადო პროცენტები და დივიდენდები	სხვა ვალდებულებები	სუბორდინირებული ვალდებულებები	მოლოანი ვალდებულებები				
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	-	-	-														
მოგება-ზარალი ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული	8	8	9,287														
კლიენტთა ანგარიშები	970,388	976,474	978,255		261,380	413,759	297,442						9,287				
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახ	424,023	424,023	425,477										978,255				
სუბორდინირებული სესხი	14,399	14,399	14,427								420,903	4,574	425,477				
საიჯარო ვალდებულებები	1,426	1,426	1,428										14,427				
მიმდინარე სავადასახადო ვალდებულება	-	-	7,101										1,428				
სხვა ვალდებულებები	2,706	2,572	6,410										7,101				
სხვა ანარიცხები	768	768	1,689										1,428				
გადავადებული სავადასახადო ვალდებულება	3,572	3,572	1,176										1,689				
<b>მოლოანი ვალდებულებები</b>	<b>1,417,290</b>	<b>1,423,242</b>	<b>1,445,250</b>	<b>0</b>	<b>261,380</b>	<b>413,759</b>	<b>297,442</b>	<b>0</b>	<b>420,903</b>	<b>9,157</b>	<b>28,188</b>	<b>14,422</b>	<b>1,445,250</b>				

კაპიტალი (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო ღირებულებები	საბალანსო ღირებულებები ფასს-ის მიხედვით საზედამხედველო მიზნებისთვის გამოყენებულ კონსოლიდაციის დონეზე (ინდივიდუალური ფინანსური)	საბალანსო ღირებულებები ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ანგარიშგება)	საბალანსო ღირებულებების გადაყვანა სტანდარტიზებული საზედამხედველო									
				23	24	25	26	27	28	29	30		
				ჩვეულებრივი აქციები	პროვიდენტობის უფლებები	მიწის-გამოსყიდვითი აქციები	საემისო კაპიტალი	საერთო რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	აქტივების გადაყვანის რეზერვი	სულ სააქციო კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	112,483	112,483	112,483	112,483									112,483
საემისო შემოსავალი	72,118	72,118	72,118	72,118			72,118						72,118
გაუნაწილებელი მოგება	112,731	112,376	96,911	96,911					96,911				96,911
<b>მთლიანი კაპიტალი</b>	<b>297,331</b>	<b>296,976</b>	<b>281,511</b>	<b>112,483</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>72,118</b>	<b>0</b>	<b>96,911</b>	<b>0</b>	<b>281,511</b>		

ცხრილი 25

კონსოლიდაციის აღრიცხვისა და რეგულირების ფარგლებს შორის ძირითადი განსხვავებები გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

- აქტივები  
ყველაზე დიდი სხვაობა არის ანგარიშზე "კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები" სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამო, რომელიც ფასს-ის მიზნებისთვის 8,6 მლნ ლარით ნაკლებია, ვიდრე საზედამხედველო მოთხოვნების მიხედვით დათვლილი რეზერვები. გარდა ამისა, სესხებზე დარიცხული პროცენტი საზედამხედველო საბუღალტრო აღრიცხვის მიხედვით ერთი თვის განმავლობაში გროვდება, ხოლო ფასს-ის მიხედვით - ისტორიულად, სანამ სესხი არ ჩამოიწერება. ფასს-ით გათვალისწინებული დარიცხული პროცენტის მოცულობა 2,4 მლნ ლარით მეტია. ასევე, ფასს-ის მიხედვით კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები შემცირებულია 1,9 მლნ ლარის გადავადებული საკომისიო გადასახადით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით არაარსებითი მოდიფიკაციების მიზეზით, სესხები და ავანსები კლიენტებზე შემცირებულია 2.2 მლნ ლარით. განსხვავებები ასევე მოდის იმ გამოყენებული გაცვლითი კურსების სხვაობიდან, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნებისა და ფასს-ების მიხედვით.

გარდა ამისა, 7.1 მილიონი ლარის სხვაობა მიმდინარე საგადასახადო აქტივებში გამომდინარეობს მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან განეტვისგან, რაც IFRS მიზნებისათვის კეთდება. 9,3 მილიონი ლარის სხვაობა ანგარიშში „მოგება-ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები“ გამოწვეულია სავალუტო სპოტებით, რომელიც ფასს-ს მიზნებისთვის ინეტება ვალდებულების ანგარიშთან „მოგება-ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები“. 2.5 მილიონი ლარის სხვაობა „მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციებში“ უკავშირდება სს „კრედიტინფო საქართველოს“ აქციების გადაფასებას ფასს-ის მიხედვით.

- ვალდებულებები"  
ერთ-ერთი მთავარი განსხვავება ვალდებულებებში გვხვდება ანგარიშში „მოგება-ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები“, რომელიც გამოწვეულია სავალუტო სპოტების განეტვიდან. გარდა ამისა, 7.1 მილიონი ლარის სხვაობა მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებში გამომდინარეობს მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან განეტვისგან. 2.0 მლნ ლარის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებაში დაკავშირებულია გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების დარიცხვასთან მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად 31.12.2022 წლის მდგომარეობით, რომელიც არ ინეტება შესაბამის აქტივთან.

- სააქციო კაპიტალი  
"გაუნაწილებელ მოგებაში" 15,5 მლნ ლარის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სესხებზე შესაძლო დანაკარგების განსხვავებული რეზერვებით.

#### 14.8 შიდა კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკში ნებისმიერ დროს საკმარისი შიდა კაპიტალის არსებობა პროკრედიტ ჯგუფის მასშტაბით რისკების მართვისა და შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესების ძირითადი ელემენტია. შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების კონტექსტში, ჩვენი კონკრეტული რისკის პროფილიდან გამომდინარე, კაპიტალის საჭიროება დარდება კაპიტალის არსებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს, რომ პროკრედიტ ბანკის კაპიტალიზაცია ნებისმიერ დროს ჩვენი რისკის პროფილისთვის საკმარისი იყოს. ეს არის რეგულარული პროცესი, რომელიც ზრდის ჯგუფის/ბანკის ინფორმირებულობას ჩვენი კაპიტალის მოთხოვნებისა და რისკების შესახებ.

მეთოდები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ ბანკის წინაშე არსებული სხვადასხვა რისკების დასაფარად აუცილებელი ეკონომიკური კაპიტალის ოდენობის გაანგარიშებაში, დაფუძნებულია სტატისტიკურ მოდელებზე, თუ შესაბამისი მოდელები არსებობს. ჩვენი შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების მიზანია, რომ ბანკმა გაუძლოს ძლიერი შოკის სცენარებს. ჩვენი აზრით, 2008-2010 წლების ფინანსურმა კრიზისმა ხაზი გაუსვა რისკებისა და კაპიტალის მართვის კონსერვატიული მიდგომის აუცილებლობას და ამ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა პროკრედიტ ჯგუფის, ასევე პროკრედიტ ბანკის, სიმტკიცე რთულ ეკონომიკურ გარემოსთან გამკლავებაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ბანკმა კაპიტალის მაღალი დონე აჩვენა და შექმნა ბუფერები დამატებითი ზარალის დაფარვისთვის, ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესების შემთხვევაში.

შიდა კაპიტალის ადეკვატურობის კონცეფციის მიხედვით, ჩვენ ნებისმიერ დროს უნდა შეგვეძლოს, შევასრულოთ ჩვენი არასუბორდინირებული ვალდებულებები მოულოდნელი ზარალის მოცულობის მიუხედავად, როგორც ნორმალური საქმიანობის დროს, ისე სტრეს-სცენარებში. ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობა 2022 წლის განმავლობაში საკმარისი იყო ნებისმიერ დროს.

რისკების დასაფარად აუცილებელი ეკონომიკური კაპიტალის გაანგარიშებისას, ჩვენ რისკის შეფასების ერთწლიან პერიოდს ვიყენებთ. მატერიალური რისკები და თითოეული რისკისთვის განსაზღვრული ლიმიტები ასახავს ბანკის კონკრეტული რისკის პროფილს და ეფუძნება ყოველწლიურად ჩატარებულ რისკების ინვენტარიზაციას.

#### *სტრეს-ტესტები*

სტრეს-ტესტები ტარდება რეგულარულად, მინიმუმ თვეში ერთხელ და განსაკუთრებულ შემთხვევებში უფრო ხშირად, ბანკის მდგრადობის შემოწმების მიზნით. ტარდება სხვადასხვა

ტიპის ანალიზი, ინდივიდუალური რისკის ტიპების მარტივი სენსიტიურობის ანალიზით დაწყებული და სცენარებზე დაფუძნებული ანალიზით დამთავრებული, რომლის დროსაც რამდენიმე ან ყველა რისკის ფაქტორი ერთდროულად ისტრესება. სტრეს-სცენარების შედეგების ანალიზი, ასევე, მოიცავს მძიმე ეკონომიკური კრიზისის ანალიზს.

სცენარები ეხება როგორც ისტორიულ, ისე ჰიპოთეტურ სტრესულ სიტუაციებს. ეს სიტუაციები, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს მაკროეკონომიკური პირობების მნიშვნელოვანი გაუარესებისა და ერთდროული მასშტაბური ეკონომიკური კრიზისის ამსახველ ვარაუდებს. სცენარების შერჩევის დროს გათვალისწინებულია ბანკის სტრატეგიული მიმართულებები და შესაბამისი ეკონომიკური გარემო.

სტრეს-ტესტების შედეგებმა აჩვენა, რომ მძიმე სტრესულ მდგომარეობაში ბანკის წინაშე არსებული რისკები არ აღემატება რისკების დაფარვისთვის განკუთვნილ და ხელმისაწვდომ რესურსებს (Resources available to cover risks - RatCR), რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობა საკმარისია ნებისმიერ დროს, სტრესულ პირობებშიც კი. პროკრედიტ ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ ბანკს კაპიტალიზაციის ადეკვატური დონე ექნება უკიდურესად არასასურველი პირობებშიც.

## 15 ანაზღაურების პოლიტიკა

### 15.1 შრომის ანაზღაურების პრინციპები

პროკრედიტ ბანკის პერსონალის მართვის მეთოდის საერთო მიზნებია ჩვენს პერსონალსა და პროკრედიტ ბანკს შორის გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარება, ასევე თანამშრომლებში პასუხისმგებლობით სავსე ქცევის ხელშეწყობა. პროკრედიტ ჰოლდინგი განსაზღვრავს ბანკების შრომის ანაზღაურების სტრუქტურის სისტემას და ორგანიზებას უწევს ამ თემებზე გამოცდილების რეგულარულ გაცვლას. პროკრედიტ ბანკი პასუხისმგებელია სტანდარტების დანერგვაზე.

პროკრედიტ ბანკის შრომის ანაზღაურების სისტემა შეესაბამება ჩვენს მდგრადი ბიზნესისა და რისკის სტრატეგიას და ხელს არ უწყობს ჩვენი თანამშრომლების მხრიდან ზედმეტი რისკების აღებას. პროკრედიტ ბანკის შრომის ანაზღაურების სტრუქტურა შემდეგს ისახავს მიზნად:

- საჭირო სოციალური და ტექნიკური უნარების მქონე და დასაქმების მსურველი მომსახურე პერსონალისა და მენეჯერების მოზიდვა და შენარჩუნება;
- მომსახურე პერსონალის წახალისება იმ პასუხისმგებლობების აღებაში, რაც აუცილებელია ბანკის საქმიანობის მართვისა და გუნდური მუშაობისთვის;
- გრძელვადიანი სამუშაო ურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნების ხელშეწყობა;
- შრომის ანაზღაურების გამჭვირვალობის და სამართლიანობის უზრუნველყოფა, რაც წახალისებს თანამშრომლებს საკუთარი მოვალეობების პროკრედიტ ბანკის კონსერვატიული რისკის პროფილის შესაბამისად შესრულებაში.

პროკრედიტ ბანკის შრომის ანაზღაურების მიდგომა მიზნად ისახავს ჩვენი მომსახურე პერსონალისა და მენეჯერებისთვის გრძელვადიანი პერსპექტივის უზრუნველყოფას. გამჭვირვალე სახელფასო სტრუქტურა ფიქსირებული ხელფასით ძირითად ასპექტს წარმოადგენს ამ კონტექსტში. რადგან პროკრედიტ ბანკში თანამშრომლების შრომის ანაზღაურება მოიცავს ფიქსირებულ ხელფასს და ცვალებადი ანაზღაურების ელემენტები მკაცრად შეზღუდულია, ამიტომ დაუშვებელია, რომ შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებდეს ცვალებადი ხელფასების გაცემას. ჩვენი რწმენით, ფიქსირებული ხელფასები მდგრადი ზრდის უზრუნველყოფის სწორ მიდგომას წარმოადგენს. თანამშრომლების უმეტესობისთვის, შრომის ანაზღაურება ასახავს საშუალო საბაზრო ფასებს. მენეჯერების შემთხვევაში, ჩვენს მიერ შეთავაზებული შრომის ანაზღაურება პირდაპირ ვერ შედარდება ჩვენი კონკურენტების მენეჯერთა შრომის ანაზღაურებასთან. ეს უმთავრესად გამოწვეულია სხვა დაწესებულებებში მენეჯერებისთვის გადახდილი ხელფასების ცვალებადი ელემენტებით.

სამართლიან ხელფასთან ერთად, ჩვენს თანამშრომლებს მრავალმხრივ ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს ვთავაზობთ, რაც მნიშვნელოვან სარგებელს წარმოადგენს ჩვენი თანამშრომლებისთვის. პროკრედიტ ბანკი მნიშვნელოვან თანხებს აბანდებს ტრენინგებში და სასწავლო (სატრენინგო) ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები ჯგუფის პერსონალის საერთო ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. დამატებით ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს ჩვენს თანამშრომლებსა და პროკრედიტ ბანკს შორის გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებას, წარმოადგენს: ჩვენს მიერ შეთავაზებული საინტერესო სამუშაო, ჰორიზონტალური იერარქია, დაწინაურების გამჭვირვალე შესაძლებლობები (რამდენადაც ჩვენი მენეჯმენტის წევრებს ძირითადად ბანკის ფარგლებში ვირჩევთ), მოვალეობების შესრულებაზე დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა, ასევე მოტივაციაზე ორიენტირებული პროფესიული სამუშაო გარემო.

## 15.2 შრომის ანაზღაურების სტრუქტურა

მომსახურე პერსონალისა და მენეჯერებისთვის შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას, პროკრედიტ ბანკი იყენებს პროკრედიტ ჯგუფის სტანდარტიზებულ სახელფასო სტრუქტურას, რომელიც შედგება 22 სახელფასო დონისგან. ბანკი ხელფასის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს თითოეულ ეტაპზე არსებული საბაზრო პირობების მიხედვით და თანამშრომელს ანიჭებს ერთ-ერთ სახელფასო დონეს. ეს ხორციელდება პირის თანამდებობრივი პოზიციის, მათ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობების და შრომის ინტენსიურობის საფუძველზე.

პროკრედიტის სახელფასო სქემა ვრცელდება ყველა პროკრედიტ ბანკზე. ამ სახელფასო სტრუქტურის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ჯგუფის ფარგლებში შედარებითი პასუხისმგებლობის მქონე თანამდებობრივი პოზიციები იგივე პრინციპების შესაბამისად ანაზღაურდეს. ეს სახელფასო სქემა განსაზღვრავს, თუ პროფესიული განვითარების რომელი



პროგრამის წარმატებით დასრულებასააუცილებელი სახელფასო სტრუქტურის თითოეულ დონეზე. პროგრედიტ ბანკის თანამშრომლებისთვის 22 სახელფასო დონიდან ერთ-ერთის მინიჭების საკითხი, ასევე, ყოველწლიურად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის კომიტეტზე, თანამშრომლების ყოველწლიური შეფასებებისა და ყოველწლიური გასაუბრებების შედეგების მიხედვით გამართული დისკუსიების საფუძველზე.

პროგრედიტ ბანკში მოქმედი ზემოთ წარმოდგენილი შრომის ანაზღაურების სისტემა, ასევე, ვრცელდება იმ თანამშრომლებზე, რომელთა პროფესიული საქმიანობა არსებით გავლენას ახდენს ჯგუფის რისკის პროფილზე. ჩვენი შრომის ანაზღაურების სისტემა არ ითვალისწინებს გარკვეული რისკების აღებას, რადგან ცვალებადი ანაზღაურების ელემენტები შეზღუდულია.

### 15.3 შრომის ანაზღაურების სქემის გავრცელება და დამტკიცება

ბანკში შრომის ანაზღაურების სტრუქტურა, განსაკუთრებით კი სახელფასო სქემა, თანამშრომლებს მიეწოდება გამჭვირვალედ. პროგრედიტ ბანკის დირექტორთა საბჭო შრომის ანაზღაურების სტრუქტურის შესახებ ანგარიშს ყოველწლიურად აბარებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს. პროგრედიტ ჰოლდინგის მენეჯმენტი ყოველწლიურად გადახედავს და ამტკიცებს ჯგუფის ფარგლებში მოქმედ სახელფასო სტრუქტურას და წარუდგენს პროგრედიტ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს. ბანკზე მორგებული სახელფასო სტრუქტურა ანალოგიურად ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას. ბანკის დირექტორთა საბჭო განიხილავს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს სახელფასო სტრუქტურას. ადამიანური რესურსების მართვის კომიტეტი არის ბანკის ორგანო, რომელიც პასუხს აგებს თანამშრომლების პროფესიული განვითარების და ბანკის შრომის ანაზღაურების პრაქტიკის გადახედვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე. კომიტეტი იკრიბება მინიმუმ კვარტალში ერთხელ. ბანკის დირექტორთა საბჭოს შრომის ანაზღაურების სქემას ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, პროგრედიტ ჰოლდინგის მენეჯმენტთან დისკუსიების შემდეგ.

პროგრედიტ ჰოლდინგს მართავს ProCredit General Partner AG-ის დირექტორთა საბჭო. იმის გამო, რომ შერჩეული შრომის ანაზღაურების სტრუქტურა მარტივია, ProCredit General Partner AG-ის სამეთვალყურეო საბჭომ მენეჯმენტის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრაზე პასუხისმგებლობა თავად შეინარჩუნა და ამ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გადასცა შრომის ანაზღაურების კომიტეტს. განსახილველი ფინანსური წლის განმავლობაში ProCredit General Partner AG-ის სამეთვალყურეო საბჭო ოთხჯერ შეიკრიბა.

### 15.4 2022 წლის ანაზღაურება

ქვემოთ მოცემულია პროგრედიტ ბანკის ყველა იმ თანამშრომლის ანაზღაურება, რომელთა პროფესიულ საქმიანობას ბანკის რისკების პროფილზე მატერიალური გავლენა აქვს. ძირითადად, მატერიალური რისკის ამღები პირების სია მოიცავს ბანკის მენეჯმენტს და პერსონალს მენეჯერული პასუხისმგებლობებით (დელეგირებული რეგულაციის (EU) N 604/2014 შესაბამისად).

ბანკის მენეჯმენტისა და იმ თანამშრომლების ანაზღაურება, რომელთა პროფესიულ საქმიანობას ბანკის რისკების პროფილზე მატერიალური გავლენა აქვს, წარმოდგენილია გამიჯნულად. როგორც წესი, იმ თანამშრომლებს, რომელთა პროფესიულ საქმიანობას ბანკის რისკების პროფილზე მატერიალური გავლენა აქვს, მიეკუთვნებიან შემდეგი ერთეულების ხელმძღვანელები: რისკების მართვა, ფინანსები, იურიდიული, შიდა აუდიტი, შესაბამისობა, IT და ფილიალის მმართველები. მთლიანად, პერსონალის დაახლოებით 14,5% წარმოადგენს იმ პირებს, რომლებსაც ბანკის რისკების პროფილზე მატერიალური გავლენა აქვთ.

ფინანსური წლის განმავლობაში მინიჭებული ანაზღაურება			ლარში		
			დირექტორატი	სამეთვალყურეო საბჭო	სხვა მაკორიალური
1	ფიქსირებული ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	4	3	36
2		მთლიანი ფიქსირებული ანაზღაურება	773,096	86,174	3,225,311
3		მათ შორის: ფულადი ფორმა	759,139	86,174	2,926,262
4		მათ შორის: გადავადებული		47,086	
5		მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები			
6		მათ შორის: გადავადებული			
7		მათ შორის: სხვა ფორმის	13,957		299,050
8		მათ შორის: გადავადებული			
9	ცვლადი ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა			
10		მთლიანი ცვლადი ანაზღაურება	0	0	0
11		მათ შორის: ფულადი ფორმა			
12		მათ შორის: გადავადებული			
13		მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები			
14		მათ შორის: გადავადებული			
15		მათ შორის: სხვა ფორმის			
16		მათ შორის: გადავადებული			
17		<b>Total remuneration</b>	773,096	86,174	3,225,311

ცხრილი 26

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ორი წევრი არის დამოუკიდებელი, რომელთა ანაზღაურებაც ნაჩვენებია ზემოთ მოცემულ ცხრილში.

პროკრედიტ ბანკს არ გააჩნია სპეციალური ან ცვალებადი ანაზღაურების პოზიციები.

## 16 ESG ანგარიშგება და გამჟღავნება

პროკრედიტბანკს, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე ორიენტირებულ პასუხისმგებლიან ორგანიზაციას, გვჯერა რომ ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარება და ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს მდგრადი ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული, რაც თავის თავში გულისხმობს როგორც საკუთარ საქმიანობაში, ასევე ბიზნესების დაკრედიტების დროს ESG-ს მაღალი მოთხოვნების დაცვას და აგრეთვე კლიენტებისთვის ეკო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

ESG ანგარიშში წარმოდგენილია ბანკის კომპლექსური მიდგომა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მიმართ, რომელიც ასახულია ბანკის ბიზნეს მოდელსა და

პოლიტიკაში. წესებში და სტანდარტებში აღწერილია ის კონტროლის მექანიზმები, რომელიც საშუალებას აძლევს ბანკს ეფექტურად შეაფასოს და მართოს ESG რისკები, როგორც ბანკის შიგნით, ასევე გარე მხარეებთან ურთიერთობისას . ანგარიშში აგრეთვე მოცემულია ბანკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შედეგები და KPI-ები, რომელიც გამომდინარეობს ბანკის მიდგომებიდან.